ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

«ის კი არაა სირცხვილი, რომ მეგრულად საუბრობენ, არამედ ისაა,
რომ დანარჩენ ქართველებს არ ესმით მეგრული», — აკაკი წერეთელი.

№448 (507) 27 მარტი – 9 აპრილი 2019 წ.

სახალხო მოძრაობა «სამეგრელოს» ორგანო



# ლავრენტი ბერია – 120

# ზვიად გამსახურდია – 80







ალექსანდრე ჭაჭია, პოლიტოლოგი:

**დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება ქართულ ისტორიაში, ვისაც ერთიანი საქართველოს შექმნისათვის, ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე გიორგი ჭყონდიდელმა გააკეთა. დამისახელოს ვინმემ ისეთი პიროვნება, რომელსაც საქართველოს, მათ შორის თბილისის, აფხაზეთის გაქართველებისათვის მეტი გაუკეთებია, ვიდრე ლავრენტი ბერიამ გააკეთა. დამისახელოს ვინმემ პიროვნება, რომელსაც ქართველთა სულიერი გაერთიანებისათვის, ქართული ეროვნული თვითშეგნების გაღვივებისათვის, ქართული სულის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია, ვიდრე ეს ზვიად გამსახურდიამ გააკეთა**

## საქართველოს სულიერი მისია

2



## როგორ აკრძალა ბერიამ საქართველოში არაქართველებისთვის ქართულ გვარზე გადასვლა

9



## ეჰ, სად არის, თორემ სტალინიც გვჭირდება და მის დონეზე ამაღლებული ბერიაც, მაშინ ვნახავდით ლიბერასტების ბუმბულს, «გაშლილს, გაფანტულს ველადა»...

8

„ბერიას კაბინეტში გულის ფანცქალით შევედი, იმ მუყაოზე დაკრული ფოტოები ვაჩვენე და ვთქვი, ვინ აამაღლა ბერია, ლენინ-სტალინის დონემდე?..“





გური ოტობაია

## ტროია

ეპიკური პოემა

6-7

## ზუგდიდი ახალი მერის მოლოდინში

8

### ზვიად გამსახურდია

# საქართველოს სულიერი მისია

## ლექცია წაკითხული «იდრიატის» ფესტივალზე თბილისში 1990 წლის 2 მაისს

**ძვირფასო მეგობრებო! ერთი ლექციის ფარგლებში ყოვლად შეუძლებელია ესოდენ რთული თემის ჩატევა და ამიტომ ამ ლექციას ექნება უფრო მიმოხილვითი ხასიათი, უფრო ზოგადად მოგახსენებთ ყოველივე იმას, რაზეც გვიფიქრია, გვიმუშავია მე და ჩემს მეგობრებს წლების მანძილზე, აგრეთვე ცალკეული გამოკვლევების შედეგებს როგორც აქ, საქართველოში, ასევე დასავლეთში.**

ლექციის გეგმა ასეთი იქნება: თავდაპირველად ვისაუბრებთ ქართველთა ეთნოგენეზისზე. მე ვიცი, რომ დასავლელი სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ამით და გავაშუქებთ უფრო ისეთ მომენტებს, რომლებიც შეიცლება მათთვის არ იყოს ცნობილი და რომლებიც ნაკლებად შუქდება დასავლეთის დღევანდელ მეცნიერებაში. და, გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა იდეოლოგიური დიქტატურის მრავალწლიანი ბატონობის პერიოდში მრავალი რამ ქართული კულტურის ისტორიაში იყო მიჩქმალული, დამახინჯებული და ტაბუირებული. ერთგვარი მეცნიერული ტაბუ იყო ამ საკითხზე დადებული, რაც, სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება, ვინაიდან არც ისე ადვილია იმ ავადსახსენებელი ეპოქის ჰიპნოზის შედეგების მოცილება თავიდან. მრავალი საკითხი გაყალბებულია და საბჭოთა იმპერიული მეცნიერების მიერ უზურპირებული, თავისი ინტერესებისადმი დაქვემდებარებული. ყოველივე ამის გავლენის ქვეშ, სამწუხაროდ, მოქცეულნი არიან ქართველი მეცნიერებიც. მე არ მინდა მათი კონკრეტულად დასახელება, ისინი ჯერ ვერ ბედავენ კვლევა განავითარონ იმ მიმართულებით, რაც ნათელს მოჰფენდა ამ საკითხებს. ამას ყველაფერს ძალიან დიდი და შორს მიმავალი მიზეზები ჰქონდა. ამასთან დაკავშირებით დიდი კამპანია იყო გაჩაღებული ქართველი მეცნიერების ივანე ჯავახიშვილისა ლა ნიკო მარის წინააღმდეგ. აგრეთვე მიჩქმალულია დასავლეთის ისეთი დიდი მეცნიერების გამოკვლევები იბერთა ეთნოგენეზისის სფეროში, როგორიც არის ვილჰელმ ჰუმბოლდტი და სხვანი. ეს იმის გამო ხდებოდა, მეგობრებო, რომ სურდათ ქართველი ერისათვის შთაენერგათ არასრულფასოვნების კომპლექსი. საბჭოთა მეცნიერებამ, კერძოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა, შექმნეს თეორია იმის შესახებ (არსებობს სტალინის თეორია ამასთან დაკავშირებით), რომ თურმე ქართველი ერი, როგორც ასეთი, შეიქმნა და ჩამოყალიბდა ერად მეცხრამეტე საუკუნეში, რომ მანამდე იგი თურმე არც ერი ყოფილა და არც არსებობდა. მეცხრამეტე საუკუნეში შემოვიდა ჩვენში კაპიტალიზმი და ვითომდაც ამან განაპირობა ქართველი ერის ერად ქცევა. ეს არის მარქსისტული თეორია, რომელიც დღემდე ბატონობს და რომელიც ზოგიერთ ჩვენს მეცნიერს დღემდე ვერ მოუცილებია თავიდან და კვლავ ამ მიმართულებით აგრძელებს მუშაობას. ეს ყველაფერი ისახავდა შორს მიმავალ მიზნებს.

სინამდვილეში როგორია ვითარება ქართველთა ეთნოგენეზისთან დაკავშირებით? მეოცე საუკუნეში ჩვენი მეცნიერების დიდი კორიფეების აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის მიერ გამოკვლეული იქნა გენეტიკური ძირები ქართული მოდგმისა, ქართველი ერისა და გამოტანილი იქნა შემდეგი დასკვნები, რასაც სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ორთოდოქსული საბჭოთა მეცნიერება. ამავე დროს, როგორც მოგახსენეთ, მიჩქმალული იყო დიდი გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევები. რაში მდგომარეობს ამ გამოკვლევათა არსი და რად არ ვითარდება თანამედროვე ეთნოლოგიური, ენათმეცნიერული კვლევა ამ მიმართულებით?

საქმე ის გახლავთ, რომ ვილჰელმ ჰუმბოლდტი მისმა გამოკვლევებმა ბასკური ენის სფეროში და პირინეის ნახევარკუნძულის უძველესი მოსახლეობის ვინაობის კვლევის სფეროში მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასსა, მედიტერანული რასსა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასსა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასსა, ანუ უძველესი კავკასიური რასსა, უძველესი მედიტერიანული რასსა, რაც ურთიერთის იდენტურია. საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეთლი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ვილჰელმ ჰუმბოლდტის გამოკვლევების მიხედვით ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასსისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ამიტომ დამკვიდრდა ტერმინი პროტოიბერიული, რომელთანაც არის დაკაშირებული უძველესი მოსახლეობა, როგორც მოგახსენეთ, პირინეებისა, იტალიისა, კერძოდ, ბასკური, ლუზიტანური, ტურდეტანული, ეტრუსკული, პელაზგური და სხვა, რასაც ნიკო მარრის შტუდიებით დაემატა მცირე აზიაში, მესოპოტამიაში უძველესი იბერიული ტომების-სუმერების ენის გამოკვლევა და, აგრეთვე, დიდი ქართველი მეცნიერის მიხეილ წერეთლის გამოკვლეული გენეტიური ნათესაობა სუმერულსა და თანამედროვე ქართულს შორის.

ნიკო მარის და, სხვათაშორის, სომეხი მეცნიერების ობიექტური წარმომადგენლების გამოკვლევითაც (მაგალითად, ღაფანციანის გამოკვლევით) მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი მიეკუთვნებოდა ამ მოდგმას და მესხები, ანუ მოსხები, კაპადოკიელები, კოლხები, ტაოხები და სხვანი არიან ამ მოდგმის წარმომადგენლები.



**აი, ამას ვხედავთ ჩვენ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე. პოლიტიკური ასპექტით ეს არის სიმბოლო მებრძოლი საქართველოსი, მებრძოლი, მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოსი, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს — ვეფხს, ანუ თურქეთს და ლომს — ირანს**

როგორც ხედავთ, ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ საქართველო, საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე. კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასსისა, მისი რიცხობრივი შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწევს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განასზღვრულია როგორც პელაზგური, პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ და ეს ყოველივე აირეკლა ჰომეროსის დიად ეპოსში და ამის შესახებ უკვე ძალზე სერიოზული გამოკვლევებია თანამედროვე მეცნიერებაში, რომელსაც რატომღაც სათანადო პოპულარიზებას არ უწევენ. დასავლეთში ამ მიმართულებით მოღვაწეობს ცნობილი მეცნიერი ფურნეე, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევა წინა ბერძნულის, ანუ პულაზგურის და ქართველურის შესახებ. საქართველოში ნაყოფიერად მოღვაწეობს ამ მიმართულებით პროფესორი რისმაგ გორდეზიანი, რომელსაც აქვს აგრეთვე მნიშვნელოვანი მიგნებები "ილიადაში" მოხსენებულ ტომთა ეთნოგენეზისის გამოკვლევისა, თუ როგორ იყო როლი ქართველური, პროტოქართული ტომებისა ტროას ომში, „ილიადაში", და გამოვლენილია გენეტიური ნათესაობა ქართული ენისა ეტრუსკულთან, ქართველური ტომებისა ლიკიელებთან, კარიელებთან და მცირე აზიისა და ეგეოსის მთელ სამყაროსთან და, უპირველეს ყოვლისა-ტროასთან. ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა, ვიდრე ელინური სამყარო, ვინაიდან ელინები ლაშქრობენ ტროაში საკრალური, მისტერიული სიბრძნისა, ანუ პალადიუმის მოპოვებისათვის. ტროა არის იგივე კოლხური სამყარო, ვინაიდან ტროელებთან აქაელების დავის დროს ტროელები ხსნიან ელენეს მოტაცებას, როგორც ერთგვარ შურისძიებას ადრე მათ მიერ მედეას მოტაცებისათვის. ტროელები უხსნიან აქაველებს, რომ ისევე როგორც ადრე მათ მოიტაცეს ქალი, ე. ი. მედეა, ამჟამად მათ მოიტაცეს ელენე, რომელიც ამდენად კოლხების მიერ არის მოტაცებული. ტროელები და კოლხები ერთი და იმავე მოდგმის ხალხია და მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი, მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკუთვნის ამ მოდგმას. აი, ასეთი შორს მიმავალი დასკვნები აქვს თანამედროვე მეცნიერებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ხდება ყოველივე ამის ტაბუირება და ხდება ინდოევროპელების როლის წინ წამოწევა იმ არქაულ, პრეისტორიულ ეპოქაში, არადა ჩვენ ვიცით, რომ ინდოევროპული მოდგმა ძირითადად აღზევდა მეორე ათასწლეულიდან. და ტროას ომი, „ილიადა" ფაქტიურად არის პერიოდი, როდესაც ინდოევროპული მოდგმა უკვე მძლავრობს მცირე აზიაშიც და საბერძნეთშიც და პელაზგურ მოდგმას უკვე დეკადანსი ემუქრება, თუმც ტროას ომის ▶

უდიდესი გმირი-აქილევსი წარმოშობით პელაზგია, ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამემნონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო, ელინური სამყარო კი აქაველებია. ამ კონფლიქტში იკვეთება ერთი რამ, რომ ამ ლაშქრობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი არის პალადიუსის მოტაცება, რომელიც სიმბოლურად ტროასეული ცხენის მეშვეობით ხორციელდება. მართალია, სიმბოლურად აქ არის ქალის მოტაცების მოტივი, მაგრამ ელენე, ანუ ელენე არის სიმბოლო ძველი წარმართული სოფიისა (სიბრძნის, სოფიას მოტაცება და შემდეგ მისი კვლავ გამოხსნა გავრცელებული მოტივია ანტიურ პოემებში), ხოლო ცხენი, როგორც მოგეხსენებათ, ინტელექტის სიმბოლოა ძველ ეპიურ პოეზიასა და მითოსში. აქაველთა, ელინთა მისსია-ინტელექტის განვითარება-არის უკვე ახალი ეტაპი ცნობიერებისა, ხოლო ძველკოლხური, ტროიანული, პელაზგური კულტურა ეს არის ნათელმხილველური კულტურა, რომელიც უსწრებს წინ ინტელექტისმიერ, აზროვნებით კულტურას. ძველბერძნული მითოსი. ამას აღნიშნავდა დიდი გერმანელი ფილოსოფოსი შელინგი და პელაზგურ ეპოქას საბერძნეთის განვითარებაში იგი განმარტავდა როგორც საიზმს, ე.ი. ნათელხილვითი სიბრძნის ეპოქას. შემდგომდროინდელი ბერძნული მითოლოგიიდან ჩვენ ვიცით, რომ პერსევსმა და სხვა გმირებმა ნათელმხილველური, პელაზგური კულტურა გადაიყვანეს აზროვნებით კულტურაზე, კერძოდ, ინტელექტისმიერ ელინურ კულტურაზე.

ყოველივე ამასთან არის დაკავშირებული აგრეთვე პრომეთეს მითი. ვინ არის პრომეთე? საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ მითოსი და მითოლოგია არ არის იდენტური ცნებები. მითოსი არის მითების სამყარო, ხოლო მითოლოგია არის ამ მითების სამყაროს განმარტება, მნიშვნელობა, ანუ ლოგოსი, მითოსის ლოგოსი. ასე რომ, ძველბერძნული მითების სინამდვილე შექმნილია პელაზგების მიერ, ხოლო ელინების მიერ იგი არის სისტემატიზებული და ინტერპრეტირებული. ჰომეროსი და ჰესიოდე არ არიან შემოქმედნი ძველბერძნული მითებისა, ისინი არიან პელაზგური ეპოქის მითოსის სისტემატიზატორები, განმმარტებელნი. ისინი არიან მითოლოგოსები, ხოლო პელაზგური ეპოქის მითოსის შემოქმედთა, მითოგრაფოსთა სახელებმა ჩვენამდე არ მოაღწია, მაგრამ მოაღწიეს ღვთაებებმა, მითოსის პერსონაჟებმა. ძირითადი ღვთაებები ძველბერძნული პანთეონისა წარმოშობით პელაზგურნი არიან. მათ შორისაა ზევსი. არსებობს პელაზგური ქტონური ზევსი, რომლის კულტიც მუხასთან არის დაკავშირებული; ჰერა ანუ ჰაერა, რომელიც არის უძველესი პელაზგურ-იბერიული ქალღმერთი; აგრეთვე დემეტრე, რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიანიშნებდა იმაზე, რომ „დე“ ფუძე სავსებით უცხოა ძველბერძნული ენისათვის. „მეტერ“ მართალია დედას ნიშნავს, მაგრამ „დე“ არის სუფთა იბერიული წარმოშობის ფუძე, „დე“, ანუ „დედა“, დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად დემეტრე არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთის აღმნიშვნელი. ამრიგად დემეტრე არის ის სხე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედა-ქალღმერთი შეერწყა ძველბერძნულ ქალღმერთს. ეს არის ძველბერძნული პანთეონი, თუ შეიძლება ითქვას, დამყნილი პროტოქართულ, პროტოიბერიულ, ანუ პელაზგურ პანთეონზე.

ახლა რაც შეეხება პრომეთეს. პრომეთეს მითი უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ევოლუციის თვალსაზრისით და, ამავე დროს, ქართველთა ეთნოგენეზისის თვალსაზრისით, ვინაიდან პრომეთეს მითი, როგორც მოგეხსენებათ, დაკავშირებულია კავკასიასთან და შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიასთან დაკავშირებულია ბერძნული მითოსის უმთავრესი მომენტები. გაიხსენეთ არგონავტების ლაშქრობა, გაიხსენეთ პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიის ქედზე, რაც უმთავრესი მომენტია ბერძნულ მითოლოგიაში. მითოსის პერსონაჟთა მისსია, მათი სულიერი რაობა ყოველთვის მათი სახელების მიხედვით განიმარტებოდა. სახელები მითოსის პერსონაჟებისა (როგორც მოგეხსენებათ, მითები იქმნებოდა ძველ მისტერიებში ქურუმების, ხელდასხმულების, ადეპტების მიერ) ღმერთების, ნახევრადღმერთების, ტიტანების, გმირების სახელები იქმნებოდა მათი არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე. კერძოდ, „პრო-მეთელ“ ძველბერძნულად ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას, ეპიმეთე-მისი ძმა-ნიშნავს თანადროულ, განსჯისმიერ აზროვნებას.

რა არის პრომეთე? პრომეთე არის იმ კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელმაც უნდა განავითაროს წინასწარმეტყველური, ანუ ინტუიტიური აზროვნება, ხოლო ეპიმეთე, რომელმაც უნდა განავითაროს განსჯითი, ანუ ინტელექტუალური აზროვნება. ვისი ძეა პრომეთე? იგი არის ძე იაპეტოსისა. იაპეტოსის სახელი ზენონ ელეელის მიერ განიმარტება როგორც ზენა სამყარო, სულიერი სამყარო. იაპეტოს, ე. ი. ის, რაც მიისწრაფვის ზევით, სულიერი სამყაროსაკენ. ე. ი. პრომეთე არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება. როგორც პლუტარქე აღნიშნავს, ძველბერძნული და საერთოდ მითები შეიძლებოდა განემარტათ თორმეტ სხვადასხვა დონეზე. ე. ი. თითოეულ მითს შეიძლება ჰქონდეს 12 სხვადასხვა ახსნა. ერთ-ერთი მთავარი ახსნა პრომეთეს მითისა კაცობრიობის ევოლუციაში, აზროვნების ევოლუციაში არის ის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის ფიზიკურ სხეულს ადამიანის სულის ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლასთან ერთად და არის დატყვევებული ამ ფიზიკურ სხეულში. ხოლო განთავისუფლება პრომეთესი, რომელიც მიჯაჭვულია კავკასიის ქედზე, არის დატყვევებული ამ აზროვნებისა სხეულებრივი საწყისისაგან. განთავისუფლებული პრომეთე არის განთავისუფლებული წინასწარმეტყველური აზროვნება, ხოლო მიჯაჭვული პრომეთე ადამიანის ფიზიკურ სხეულზე მიჯაჭვული აზროვნებაა. ეს არის ეტაპი კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც ცნობილია ადამიანური არსების, სულის ჩაძირვად ფიზიკურ სხეულში, ხოლო შემდეგ ხდება მატერიისაგან სულის



ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა

**პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა, რომელიც არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა და ყოველივე იმისა, რაც მოდის ამ მისტერიათა კულტურიდან. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა**

განთავისუფლება. ეს არის ერთი ასპექტი პრომეთეს მითისა, მისი სპირიტუალური, ფილოსოფიური ასპექტი.

მეორე ასპექტი არის ეთნოლოგიური ასპექტი. კერძოდ, პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა, რომელიც არის შემქმნელი მისტერიათა კულტურისა და ყოველივე იმისა, რაც მოდის ამ მისტერიათა კულტურიდან. სახელდობრ, სულიერი განვითარებისა, ინიციაციისა და სულიერი აზროვნებისა. ასეთია ეს მოდგმა. ხოლო ზევსი, ამ თვალსაზრისით, განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და მიაჯაჭვავს პრომეთეს კავკასიის კლდეზე. რა იყო მიზეზი პრომეთეს მიჯაჭვისა კავკასიის ქედზე? მიზეზი იყო ის, რომ კორინთოში ურთიერთს შეხვდნენ ორი კულტურის, ორი რასსის წარმომადგენელნი-ერთნი პრომეთესთან, ხოლო მეორენი ზევსთან დაკავშირებულნი. ე. ი. აქ სიმბოლურად აირეკლა შეხვედრა ორ კულტურას შორის, ორ რასსას შორის; ერთი იყო მკვიდრი, პირველადი მოსახლეობა იმჟამინდელი საბერძნეთისა, ხოლო მეორე-მოსული, ანუ ინდოევროპული, ელინური. პრომეთე და მისი მიმდევარი ქურუმები ამ შეხვედრის დროს მოატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს სამსხვერპლო ხარის დანაწილებისას. მოატყუებენ იმ გაგებით, რომ მათი ინტელექტი, მათი აზროვნება იყო უფრო წინ წასული, ამიტომ მათ შესძლეს ზევსის ქურუმთა მოტყუება. ეს მოტყუება სიმბოლოა იმისა, რომ მათი ინტელექტი უფრო განვითარებულია, რომ ის კულტურა, რომელიც მოსულ ინდოევროპელებს დახვდათ — პელაზგური კულტურა — უფრო მაღლა იდგა მათზე. უფრო მაღლა იდგა შესაბამისად აზროვნებითი კულტურაც. შემდეგ კი ინდოევროპელებმა ელინური აზროვნებითი კულტურა უმაღლეს საფეხურამდე განავითარეს, მაგრამ ჯერ ის პერიოდია, როდესაც პირველად შეხვდა ეს ორი რასსა, ორი მოდგმა ერთმანეთს და პრომეთეს ქურუმები დაანაწილებენ ხარს იმგვარად, რომ ზევსის ქურუმებს და ზევსს შეხვდებათ ძვლები და ქონი, ხოლო მათ ხარის საუკეთესო ნაწილები. ესეც სიმბოლურია. სიმბოლურია, ვინაიდან აქ მსხვერპლის ორგვარ გაგებასთან გვაქვს საქმე და ამ დროს ზევსის ქურუმები ისე წარმოსახავენ საქმეს, თითქოს მათ შეგნებულად მოიტყუეს თავი. შემდეგ ზევსი მიმართავს პრომეთეს:

— იაპეტოსის ძეო, უკეთილშობილესო ყველა მეუფეთა შორის, ყველაზე დიდო მცნობო მომავლისა, მეგობარო, რად დაანაწილე ხარი ამდაგვარად?

ზევსი გვიან ხვდება იმას, რაც პრომეთემ ქმნა. აქედან გამომდინარე, განსაზღვრულია პრომეთეს რაობა და შემდგომ ამისა ზევსი აღარ აძლევს ცეცხლს კაცობრიობას და პრომეთეს მიაჯაჭვავს კავკასიის ქედზე, ვინაიდან მან კაცობრიობას მისცა ის ცეცხლი. ცეცხლი ამ შემთხვევაში არის სიმბოლო ადამიანის „მე“-სი. თქვენ იცით, რომ ოთხ ელემენტს შორის — ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი — ადამიანის „მე“-ს, თვისებას, მეობას შეესაბამება ცეცხლი. ის, რომ ზევსი აღარ აძლევს მეობას კაცობრიობას, რომ კაცობრიობა მოკლებულია „მე“-ს, ხოლო პრომეთე აძლევს ცეცხლს კაცობრიობას, ე. ი. მეობას, ასახავს მისტერიალური კულტურის განვითარების გარკვეულ საფეხურს, როდესაც ადამიანებმა მიიღეს „მე“ ფიზიკურ სხეულში ჩამოსვლით და პრომეთეს მიჯაჭვა არის სწორედ ის ეტაპი (სხვათა შორის, ამას ნიშნავს აგრეთვე ტიტანების დამარხვაც ტარტაროსში ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლის შემდეგ), როდესაც ადამიანის სული და მისი „მე“ ჩამოდის სულიერი სამყაროდან ფიზიკურ სხეულში და ადამიანს ებადება „მე“ ცნობიერება. აი, ეს არის პრომეთეს მიერ კაცობრიობისათვის ცეცხლის მიცემა, ვინაიდან „მე“-სგან მოდის ყოველგვარი კულტურა, ისევე როგორც ცივილიზაცია მოდის ცეცხლის გამოყენების სწავლისაგან და ამგვარი სიმბოლოებით ჩვენ ვხვდებით, რომ პრომეთე ასახავს მისტერიათა კულტურას, რომელიც იყო პირველადი ძველ საბერძნეთში და შემდეგ ლოკალიზებული კავკასიაში, რაც სიმბოლურად ასახულია პრომეთეს მიჯაჭვით კავკასიის ქედზე.

პრომეთეს აწამებს ზევსის არწივი. არწივი, ერთი მხრივ, სიმბოლოა სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა და ძალმომრეობისა, რომელიც აწამებს პრომეთეს. კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე, ანუ ფიზიკურზე მიჯაჭვული აზროვნება გაანთავისუფლა ჰერაკლემ.

რა არის ჰერაკლე? ეს არის ინიციაციის ახალი კულტურა, ნებელობითი ინიციაცია, ჰეროიკული ინიციაცია, რომელიც არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტური იყო. ძველი საბერძნეთის ცენტრალური მისტერიები „ელოიზისის“ მისტერიები იყო. სიტყვა „ელიოზის“ ძველბერძნული სიტყვაა, ნიშნავს მოწევნადს, მოვლინებადს, წინასწარ განჭვრეტას მომავლისას. ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნებელობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში სასუფევლის ძალით აღება ჰქვია, ვინაიდან ქრისტიანული ინიციაციის არსი იესო ქრისტემ განმარტა როგორც სასუფევლის აღექა ძალისხმევით („სასუფეველი იძულების“). ამრიგად, ჰერაკლეს გმირობანი სიმბოლურად უნდა გავიგოთ როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხურები, სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულმინაციაც არის პრომეთეს განთავისუფლება, ანუ აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა.

ეთნოლოგიური თვალსზრისით, როგორც მოგახსენეთ, მითებს აქვს ასეთი განმარტებაც და მითოლოგია და ეთნოლოგია უაღრესად მჭიდრო კავშირშია. ეს არის განთავისუფლება იმ მოდგმისა, რომელიც ზევსის, ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული, ანუ ლოკალიზებული კავკასიაზე. ე. ი. პრომეთეს მითში აირეკლა აგრეთვე პროტოქართული მოდგმის, პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალიც. ჰერაკლე, როგორც მოგახსენეთ, არის სიმბოლური გამოხატულება ახალი ინიციაციური კულტურისა, კერძოდ, ქრისტიანული კულტურისა და, სხვათა შორის, ეს არა მხოლოდ თანამედროვე სულიერ მეცნიერებაში არის ასე, არამედ შუასაუკუნოებრივ ღვთისმეტყველებაშიც. ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი ვხვდებით ჩვენ ისეთ ძეგლებს, სადაც მინიშნებულია, რომ ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი. კერძოდ, მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ. აგრეთვე არგონავტების ლაშქრობა არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა და შემთხვევითი არ არის, რომ ოქროს საწმისს სულიერ მეცნიერებაში ეწოდება კლასიკური გრაალი. ოქროს საწმისი კლასიკურ პერიოდში, ანტიურ პერიოდში არის იგივე, რაც შუა საუკუნეებში გრაალი და ფილოსოფიური ქვა. ფილოსოფიური ქვა და გრაა- ▶

**უდიდესი გმირი-აქილევსი წარმოშობით პელაზგია, ე.ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამემნონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები და ელინური სამყაროს წარმომადგენლები. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ტროა ეს არის პროტოქართული სამყარო, ელინური სამყარო კი აქაველებია**

ლი არის აგრეთვე იდენტური ცნებები. ფილოსოფიური ქვის ძიება არის არა მარტო ფიზიკური ოქროს ძიება, არამედ სულიერი ინიციაციის ძიება, ღვთის ძიება, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიურ მისტერიებში, ძველბერძნულ მისტერიებში გადმოცემული იყო როგორც ოქროს საწმისის ძიება. ხოლო ოქროს საწმისი, როგოც მოგეხსენებათ, იყო კოლხეთში. თავდაპირველად ოქროს ვერძი საბერძნეთიდან არის წასული კოლხეთში, მაგრამ ეს იმ პერიოდის საბერძნეთია, როდესაც იქ ყვავის პელაზგური კულტურა, კერძოდ, პელაზგური არგოსის კულტურა. შემთხვევითი არ არის, რომ ხომალდსაც „არგო“ ჰქვია და „არგო“ თავისი ძირით კოლხეთიდან მომდინარეობს-არგო, არგვეთი, ეგრისი, „გრ“ — ფუძე; ესეც კოლხეთია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად, იმაგინატიურად არის ლაშქრობა სულიერი სიბრძნის, მისტერიალური სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა უკვე საბერძნეთის ტერიტორიაზე, აღარც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. ისევე როგორც კრეტაზე წასვლა თეზეოსის არის აგრეთვე იმ სიბრძნის მოპოვება, რომელიც ელინურ საბერძნეთში იმჟამად აღარ არსებობდა.

აი, დავუკვირდეთ, უდიდესი გმირები საბერძნეთისა — თეზეოსი, ჰერაკლე და იაზონი (სხვათა შორის ,ჰერაკლეც ახლავს არგონავტების ხომალდს) იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელნიც წარმოშობით პროტოქართული, პროტოიბერიული იყო. ასეთი არის მისონური კრეტა (სხვათა შორის, „მინოს“ ნიშნავს აზრის მატარებელს, მოაზროვნეს) და თეზეოსის ჩასვლა მინოსში, მის მიერ მინოტავრის მოკვლა, ლაბირინთოსში შესვლა და მისი ლაბირინთოსიდან გამოსვლა არის სწორედ იმ მისონურ კულტურასთან ზიარება, რომელიც უფრო ძველია, ვიდრე ძველბერძნული კულტურა, უფრო ამაღლებულია მასზე. ასევეა ძველკოლხური კულტურა, რომელიც რომელიც იმჟამად უფრო მაღალ დონეზე იყო, ვიდრე საბერძნეთის კულტურა. (შემთხვევითი როდია, რომ მინოსს ცოლად ჰყავდა აეტესის დაი, პასიფაე). ასე რომ ამ გმირების ლაშქრობები მუდამ ქართველურ ქვეყნებთანაა დაკავშირებული. ჰერაკლეც ასევე მიდის პირინეის იბერიაში ჰესპერიდების ბაღნარში ვაშლების მოსაპოვებლად.

ამავე დროს, ორფეოსის შესახებ მითიც მოგვითხრობს, რომ ორფეოსის მთავარი მიზანი იყო პელაზგი წინაპრების კულტის აღორძინება. ორფეოსი წარმოშობით პელაზგია, ძე ვაგრისი (ორფეოსის მამის სახელი, სხვათაშორის, პირდაპირ ემთხვევა კოლხეთის სახელს: ეგრისი — ეგრი). მისი მიზანი იყო აღორძინება იმ პელაზგური კულტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა.

რაც შეეხება არგონავტების ლაშქრობას, როგორც წეღან მოგახსენეთ, აქ არის მოცემული ძველბერძნული, დორიული ინიციაციის სხვადასხვა ეტაპები და შემთხვევით არ არის, რომ დირიული, აქტიური ინიციაცია დაკავშირებულია კოლხეთთან და კოლხურ სამყაროსთან. ხოლო შუა საუკუნეებში თვით ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაშიც კი გერმანე კონსტანტინოპოლელ პატრიარქის მიერ არის შექმნილი ძეგლი „სასწაულნი მთავარანგელოზთანი“, რომელშიც აღწერილია არგონავტების ლაშქრობა კოლხეთში, რომელსაც მფარველობს მიქაელი, ქრისტიანული მთავარანგელოზი, და არგონავტებს გამოეცხადებათ „ცით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი“, ანუ მიქაელ მთავარანგელოზი და წინასწარმეტყველებს მათ მომავალში გამარჯვებას. აი, დაუკვირდით, როგორი გაგებაა წარმართული მითისა ერთი შეხედვით ეგზოტერული ეკლესიის წარმომადგენელთან — გერმანე პატრიარქთან. ე. ი. „ციით მოვლენილი ძლიერებაი საზარელი“ არის მიქაელ მთავარანგელოზი და არგონავტების ლაშქრობა დაკავშირებულია მიქაელის მისსიასთან, რომელიც არის უმთავრესი მზიური მთავარანგელოზი ქრისტიანობისა, ძალი ღვთისა, როგორც მას განმარტავენ (მნიშვნელოვანია, რომ გერმანე პატრიარქი წარმოშობით კოლხი, ლაზი იყო).

აი, ასეთი კავშირები არსებობს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციას შორის, რაც დაკავშირებულია უძველეს პროტოქართულ მისტერიალურ ცენტრებთან.

იაზონი, როგორც ფიგურა, როგორც გმირი, პინდარეს მეოთხე ოდაში მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნად.

ე. ი. იაზონი არის აგრეთვე ვეფხისტყაოსნის გმირი. ის არა მხოლოდ ოქროს საწმისის მომპოვებელია, არამედ ვეფხისტყაოსნიც გმირი არის და, საერთოდ, ვეფხისტყაოსანი გმირებიც დაკავშირებული არიან უძველეს, პროტოქართულ სამყაროსთან, თუმცა ვეფხისტყაოსანი ქურუმები ეგვიპტის მისტერიებშიც გვხვდება. სხვათა შორის, ტროელი პარისიც ვეფხისტყაოსანია, ტროაშიც გმირებს ვეფხის ტყავი მოსავთ. დიონისეს პროცესიებს, სხვათა შორის, მიუძღვის ვეფხი. თავად დიონისეც ვეფხისტყაოსანია. ასე რომ, ვეფხის ტყავი უძველესი ტოტემური სახეა იაფეტური კაცობრიობისა, კავკასიური რასსისა.

ახლა მინდა დავუბრუნდე დასაწყისს, როდესაც ვმსჯელობდით უძველეს პროტოიბერიულ მოდგმაზე. უნდა მოგახსენოთ, რომ მეცნიერებაში დამკვიდრდა აკადემიკოს ნიკო მარის ტერმინი — იაფეტური მოდგმა, იაფეტური ენა. რას ნიშნავს ეს?

თქვენ მოგეხსენებათ, რომ არსებობს გაგება სემიტური კაცობრიობის, სემიტური ენებისა, სემიტური მოდგმისა. არსბობს გაგება ქამიტური მოდგმისა, რომელიც უკავშირდება ძველ ეგვიპტეს, აფრიკას. და არსებობს აგრეთვე საფეტური მოდგმა. ეს სამი ძმა ბიბლიაში სიმბოლურად ასახავს ატლანტურ, წარღვნამდელ კაცობრიობისას. კერძოდ, ნოე ასახავს ატლანტურ, წარღვნამდელ კაცობრიობას, ე. ი. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპს, რომელიც ატლანტიდის წარღვნამდე არსებობდა. ხოლო მისი ძენი არიან უკვე ატლანტიდის შემდგომი კაცობრიობის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამათი შტო არის იაფეტური და, სხვათა შორის, იაფეტი ძველი აღთქმისა დაკავშირებულია ძველი ბერძნული მითოლოგიის იაპეტოსთან. შემთხვევითი არ არის, რომ პრომეთეს მამა იაპეტოსია. მისი იდენტურია იაფეტი და ყოველივე ამასთან დაკავშირებულია აგრეთვე პლანეტა იუპიტერი და იუპიტერის რასსა, ანუ თეთრი რასსა. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ეზოტერიზმში რასსები დაკავშირებულნი არიან მნათობებთან. იუპიტერთან დაკავშირებულია თეთრი რასსა, მერკურთან — შავი, ვენერასთან — წითელი, ხოლო მარსთან ყვითელი, ანუ მონგოლური რასსა. იუპიტერის რასსის პირველადი რასსობრივი სუბსტრატი არის სწორედ სწორედ ეს იაფეტური, პროტოევროპული, პროტოიბერიული კაცობრიობა. აი, ასე უკავშირდება იუპიტერის რასსის მისსიას პროტოევროპული, ანუ პალეოკავკასიური, მედიტერანული რასსის მისსია. ეს ყოველივე, რაც შეეხება ანტიურ, წარმართულ ეპოქას, პერიოდს.

ახლა რაც შეეხება ქრისტიანულ პერიოდს. ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. არ არის შემთხვევითი, საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა — ანდრია და სვიმონ კანანელი — პირველი და უკანასკნელი მოციქულები. ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე.ი. დასაწყისსა და დასასრულს. რა როლი აქვს ქართველური მოდგმის ხალხებს ქრისტიანობის განვითარებაში, კერძლდ, მიქაელური ქრისტიანობის განვითარებაში და რატომ ეწოდება გეორგია საქართველოს?

**ქრისტიანობის შემოსვლა საქართველოში დაკავშირებულია პირველსავე საუკუნეებთან. არ არის შემთხვევითი, საქართველოში ორი მოციქული რომ იმყოფებოდა — ანდრია და სვიმონ კანანელი — პირველი და უკანასკნელი მოციქულები. ანდრია იყო პირველწოდებული, სვიმონ კანანელი კი ყველაზე ბოლოს მივიდა ქრისტესთან. ეს არის სიმბოლო იმისა, რომ ისინი გამოხატავენ ალფას და ომეგას, ე.ი. დასაწყისსა და დასასრულს**

თქვენ მოგეხსენებათ, რომ მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც ჰყავს პროტოტიპები ანტიურ ეპოქაში, ქრისტემდელ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გვევლინება ნაყოფიერების ღვთაებათა მცველ, ამინდის, ჭექა-ქუხილის ღვთებათა სახით, როგორც ძველ ინდოეთში ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჰუ, ამინდისა და ჭექა-ქუხილის ვეფხისტყაოსანი ღვთაება. მას გამოქვაბულებში ყოველთვის ვეფხის ტყავით მოსილად გამოსახავდნენ. ვეფხის ტყავი არის ატრიბუტი იმ არსებისა, რომელსაც ანტიურობაში იცნობდნენ როგორც ინდრას, მარდუკს, ტარჰუს, ქრისტიანობის ეპოქაში კი იცნობენ როგორც მიქაელს და წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა. მიქაელი არის სულიერი სამყაროს ასპექტი, აზროვნებათა ასპექტი, ხოლო წმინდა გიორგი არის მიქაელის ასპექტი ისტორიულ პლანში, ფიზიკურ სამყაროში. რატომ უკავშირდება საქართველოს სახელი გეორგიას?

**ჯერ კიდევ ძველბერძნები «გეორგოსებს» უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. «გეორგოს» ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მაგრამ, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება — თეთრი გიორგი**

ჯერ კიდევ ძველბერძნები „გეორგოსებს“ უწოდებდნენ ქართველებს იმის გამო, რომ მიწათმოქმედება იყო ყველაზე მეტად განვითარებული ჩვენს ქვეყანაში. “გეორგოს” ნიშნავს მიწის დამმუშავებელს, მაგრამ, ამავე დროს, გიორგის კულტი დაკავშირებულია მიწათმოქმედებასთან, კერძოდ, ნაყოფიერების ღვთაებათა დაცვასთან, ამინდთან, მეტეოროლოგიასთან. ასე იყო ძველ საქართველოში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ეროვნული ღვთაება — თეთრი გიორგი. ხოლო ქრისტიანული წმინდა გიორგი ისტორიულად არსებული პიროვნებაა. და ამავე დროს არის მიწიერი სახე იმავე სულიერი არსებისა, მიქაელ მთავარანგელოზისა, დრაკონის დამთრგუნველი. ეს სახე და ეს კულტი იყო ყველაზე მეტად მახლობელი ქართული მოდგმისათვის. საქართველოში ქრისტიანობამ მიიღო გიორგიანობის სახე. ქრისტიანობა თავიდან წმინდა სახით არსებობდა სამღვდელოებისთვის, ფეოდალური კლასისთვის, სამეფო კარისთვის, მაგრამ ხალხური ქრისტიანობა საქართველოში, შეიძლება ითქვას, გიორგიანობასთან არის შერწყმული. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგიანობამ დაჩრდილა ქრისტიანობა. წმინდა გიორგის სახეში ქართველი ხედავდა არა მხოლოდ კაპადოკიელ წმინდანს, არამედ ქრისტიანულ ღმერთს. ღმერთი მას წარმოედგინა წმინდა გიორგის მებრძოლ სახეში, დრაკონის დამთრგუნველ სახეში. ე. ი. მიქაელური ასპექტი ქრისტიანობისა იყო ყველაზე მეტად მახლობელი საქართველოსთვის. საქართველოს სახელწოდებაც დაუკავშირდა გიორგის და გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის სხვადასხვა სახეები და ასპექტები ცნობილია ღვთისმეტყველებაში. აპოკალიპსისშიც კი მესია, ღმერთი, ქრისტე გამოსახულია როგორც თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი (გამოცხ. 19, 11-15). ის ტრადიციული სახეები ქრისტესი, რომლებიც ჩვენ ვიცით, არ ამოწურავენ მის არსს. არის აგრეთვე სხვა სახე — მებრძოლი, დრაკონის განმგმირველი, როგორიც ის არის მოცემული აპოკალიპსისში. და ეს არის სწორედ წმინდა გიორგის წინასახე და ეს სახე იყო მახლობელი ყველაზე მეტად ქართველობისათვის. სხვათა შორის, დიდი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ წმინდა გიორგის კულტი საქართველოში უპრეცედენტო მოვლენაა. ჩვენ გვაქვს შემთხვევები სამების, ქრისტეს დღესასწაულების, აღდგომის დღესასწაულების „შთანთქმისა“ წმინდა გიორგის დღესასწაულის მიერ, მათ სახელობაზე აგებული ტაძრები იდენტიფიცირებულია წმინდა გიორგისთან. ე. ი. წმინდა გიორგი იდენტიფიცირებულია ღმერთთან. ეს არის სახე ღვთისა და არა მხოლოდ კონკრეტული წმინდანი.

სხვათა შორის, ამერიკელი მეცნიერი ჯობსი აღნიშნავს, რომ წმინდა გიორგის აქვს ისეთივე პოზიცია საქართველოში, როგორც ქრისტესო. მაგრამ ეს არ არის სწორი. იგი აქ ისეთივე პოზიციით კი არ არის, არამედ იმაგინატიურად, სიმბოლურად ქრისტიანობა მოცემულია მებრძოლ, სამხედრო ასპექტში. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ქრისტიანობა თავისი არსით არის სამხედრო ქრისტიანობა. ეს არის მოყმეთა, მებრძოლთა ქრისტიანობა და ასევე შეიძლება ითქვას, რომ საქართველო იყო ერთი მთლიანი სულიერი ორდენი წმინდა გიორგისა და ასეთად აღიქვამდნენ მას ჯვაროსნები, ასეთად აღიქვამდნენ საქართველოში ჩამოსული უცხოელები და ამიტომ დამკვიდრდა ეს სახელი - „გეორგია“, რომელიც, რა თქმა უნდა, წარმართული ეპოქიდან მომდინარეობს. ასეთი აღქმა ქართველობისა მხოლოდ უცხოელებს ჰქონდათ. ქართველები, მართალია, თავის თავს გეორგიანებს არ უწოდებდნენ, მაგრამ წმინდა გიორგის კულტი რა დონეზეცაა საქართველოში და რა როლი აქვს ამ წმინდანს, ამ სახეს, ამ ხატებას საქართველოს ისტორიაში, ჩვენ ყველამ ვიცით. არ არსებობს ეროვნული ხასიათის გამომხატველი სხვა უფრო შესაფერისი სახე ქართველობისათვის.

ამასთან, უნდა გავიხსენოთ ჩვენი მწერლობის ძირითადი ძეგლები და მათი კავშირი მიქაელურ ქრისტიანობასთან, წმინდა გიორგის კულტთან.

ხოლო მეორე ასპექტი ქრისტიანული საქართველოს მისსიისა დაკავშირებულია ღვთისმშობლის წილხვდომილობასთან. რატომ არის საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი?

იმის გამო, რომ იაფეტური მოდგმის, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება იყო დედა-ქალღმერთი, რომელიც სხვადასხვა ასპექტებით გვევლინებოდა ამ მოდგმის სხვადასხვა განშტოებებში, ამიტომაც ჰქვია მას „მირიონიმი“, ე. ი. მირიად სახელიანი. ეს იყო ის ცენტრალური დედა-ქალღმერთი, რომელიც დახვდათ ბერძენ კოლონისტებს ფაზისში. ფაზისის შესასვლელთან იდგა მისი დიდი ქანდაკება, რომელიც ცნობილია ჩვენში როგორც დედა უფალი, ადგილის დედა და რომელიც პროტოქართველურ ქვეყნეში გვევლინებოდა როგორც დემეტრე, როგორც ჰერა. არტემიდეს კულტიც მომდინარეობს ამ ქალღმერთიდან, პარალელური კულტი არის სვანეთში დალის კულტის სახით. როგორც მოგეხსენებათ, მცირეაზიური ქალღმერთების კულტიც დაკავშირებულია ამ უძველეს იაფეტურ დედა-ქალღმერთთან. ხოლო ღვთისმშობელი ქრისტიანული ეპოქისა არის იგივე ქალღმერთის ქრისტიანული ასპექტი, იგივე არსების ქრისტიანული სახე, რომელიც ყველაზე მეტად მახლობელი იყო ამ მოდგმასთან და აქ არის სწორედ მისტიური წინასწარგანსაზღვრულობა. როდესაც წილი ჰყარეს მოციქულებმა, ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგნა, საქართველო წილად ხვდა ღვთისმშობელს. წილად ცვდა იმის გამო, რომ ტრადიციულად ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო ღვთისმშობლის მისსიასთან, რომელიც არის იგივე სულიწმიდის მისსია.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ სამება — მამა, ძე და სულიწმიდა — მრავალი ასპექტით, მრავალსახოვნებით ხასიათდება. ძის იპოსტასი, მეორე იპოსტასი, მჟღავნდება სამების ე. წ. ღმერთმამაკაცურ ასპექტში, ანუ ღვთისმშობელში. ამის შესახებ გრიგოლ ნოსელს აქვს შრომები. კერძოდ იგი ამბობს, რომ სულიწმიდა გამოვლენილია ღვთისმშობელში და ღვთისმშობელი არის იგივე მიწიერი განსახიერება და მოქმედება სულიწმიდისა. სულიწმიდის მისსია უშუალოდ დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან. რა მისსიაა ეს? ეს არის სანქტიფიკაციის, განწმენდის მისსია, კაცობრიობის განწმედისა და ამავე დროს მხილებისა, რომელიც უნდა განახორციელოს ამ საწყისმა. ისევე როგორც მიქაელ-გიორგის მისსიაა სულიერი აზროვნების განვითარება, უნივერსალური გველის, ანუ დრაკონის დათრგუნვა, მატერიალიზმის დათრგუნვა, უნივერსალური ბოროტების დათრგუნვა, და კაცობრიობის ხსნა. აი, ეს ორი ასპექტი ყველაზე მეტად უკავშირდება საქართველოს მისსიას, საქართველოს სულიერ მისსიას. მიქაელური ქრისტიანობა, გიორგიანული ქრისტიანობა ორი სხვადასხვა ასპექტია ერთი და იმავე მოვლენისა, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, სოფიანური ქრისტიანობა, ანუ ღვთისმშობელთან დაკავშირებული ქრისტიანობა, ქრისტიანობის ის ასპექტი, რომელიც ვლინდება ღვთისმშობელში, ანუ სოფიაში. ანტიურობაში ეს ქალღმერთი, ეს არსება ვლინლებოდა როგორც ნაყოფიერების ქალღმერთი, დედაღვთაება,

◀ დედამიწა, ხოლო ქრისტიანობაში იგი ვლინდება როგორც სოფია, ანუ საღვთო სიბრძნე, კოსმიური სიბრძნე. სოფია არის ერთ-ერთი სახელწოდება ღვთისმშობლისა, ერთ-ერთი სახე ღვთისმშობლისა, ანუ სულიწმიდისა. სიბრძნე მომდინარე სულიწმიდიდან გამოხატულია სოფიაში. ეს ორი ასპექტი არის ძირეული საქართველოს სულიერ მისსიაში და ამასთან არის დაკავშირებული ქართული ღვთისმეტყველება, ხელოვნება, მწერლობა.

სანამ სხვა პრობლემებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ სვეტიცხოველზე. მე ვიცი, რომ დღეს ჩვენი სტუმრები იმყოფებოდნენ მცხეთაში, სვეტიცხოველში. სვეტიცხოველი არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივად არის არეკლილი საქართველოს სულიერი მისსია, ქართული სულიერება, ქართული ქრისტიანობა. თქვენ იცით, რომ ეს უჩვეულო ტაძარია. არც ერთ ქრისტიანულ ტაძარში, ყოველ შემთხვევაში მე ასე აგონია, არ არსებობს საკულტო სვეტი. სვეტი, უფრო სწორედ, ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმის ტაძარში, სოლომონის ტაძარში. ხოლო აქ ქრისტიანული ტაძარია აგებული სვეტთან დაკავშირებით. თავდაპირველი საფუძველი ამ ტაძრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას. ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს ისტორიულადაც ამ ადგილას იზრდებოდა კედარი, რომელიც არის ცხოვრების ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და შემდეგ ეს მოჭრილი კედარი ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით აღმართეს და ამ ადგილას აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოსი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან აშენდა სვეტიცხოველი, რომელიც არის ალეგორიული ტაძარი, ისევე როგორც სოლომონის ტაძარი იყო ალეგორიული. რაში მდგომარეობს სოლომონის ტაძრის ალეგორიულობა? სოლომონის ტაძარში იყო აღმართული ორი სვეტი, რომელიც განასახიერებდა ცხოვრების ხეს და ცნობადის, ანუ შემეცნების ხეს. სვეტიცხოველში კი ჩვენ ვხედავთ ერთ სვეტს. რატომ არის განსხვავება სვეტთა რაოდენობას შორის? იმიტომ, რომ სოლომონის ტაძარი უკავშირდება ძველ აღთქმას, ეზოტერულ იუდაიზმს, როდესაც ცხოვრების ხე და ცნობადის ხე ჯერ განთიშული, განყოფილი იყო, ხოლო ქრისტიანული ინიციაციის მისსია არის ცხოვრების ხისა და ცნობადის ხის ჰარმონიული შერწყმა ერთ მთლიანობაში. ამის გამო სვეტიცხოველში მოცემულია ერთი სვეტი, მაშინ როდესაც სოლომონის ტაძარში მოცემული იყო ორი სვეტი. აქედან ჩანს აგრეთვე ეზოტერული იუდაიზმისა და ეზოტერული ქრისტიანობის ერთობა. ცნობილია, რომ მცხეთაში იყო ებრაელთა თემი, რომელიც თავიდანვე გაქრისტიანდა, ვინაიდან ხედავდნენ ერთობას ეზოტერულ იუდაიზმსა და ქრისტიანობას შორის. ერთ-ერთი მათგანი ესწრებოდა ქრისტეს ჯვარცმას და მან მიიღო წილად კვართი, ანუ სამოსი უფლისა და წამოიღო მცხეთაში, რომელიც დამარხულია სვეტის ქვეშ მის დასთან, სიდონისათან ერთად. კვართი უფლისა არის სიმბოლო კოსმიური ეთერისა, რომელიც მოსავს ქრისტეს და ამასთან არის დაკავშირებული ცხოვრების ხე, რომელიც ამ კვართის დაფლვის ადგილზე არის აღმართული. ამ ცხოვრების ხეში შერწყმულია აგრეთვე ცნობადის ხეც, რომელიც ამ კვართის დაფლვის ადგილზე არის აღმართული. ამ ცხოვრების ხეში შერწყმულია აგრეთვე ცნობადის ხეც, რომელიც ქრისტიანობამდელ ეტაპზე განცალკევებული იყო, აქ არის მოცემული მომავლის იდეალი, მომავლის ქრისტიანობის მისსია. სხვა სიმბოლოები სვეტიცხოვლისა აგრეთვე მოგვითხრობენ, თუ რაოდენ ღრმად იყო განვითარებული ეზოტერული ქრისტიანობა საქართველოში. კერძოდ, სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე ჩვენ ვხედავთ წმინდა გიორგის ლომთან და ვეფხთან ერთად. გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირის ბრძოლა ლომთან და ვეფხთან. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ წმინდა გიორგი ზოგიერთ ქართულ ბარელიეფზე, მაგალითად, მრავალძალის ბარელიეფზე გმირავს არა დრაკონს, არამედ ვეფხს. ვეფხი არის სინონიმი დრაკონისა, რომელსაც გმირავს წმინდა გიორგი, ე. ი. სიმბოლო ქვენა ინსტინქტებისა, რომელსაც ამარცხებს ადამიანის „მე“ ინიციაციის გზაზე. აი, ამას ვხედავთ ჩვენ სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე. პოლიტიკური ასპექტით ეს არის სიმბოლო მებრძოლი საქართველოსი, მებრძოლი, მართლმადიდებელი ქრისტიანული საქართველოსი, რომელიც ამარცხებს პოლიტიკურ ისლამს — ვეფხს, ანუ თურქეთს და ლომს — ირანს. ასეთი ინტერპრეტაციაც აქვს ამ ბარელიეფს. სვეტიცხოვლის შიდა სამხრეთ კედელზე გამოსახულია აპოკალიფსური მეორედ მოსვლა, სადაც მრავალი საინტერესო სიმბოლოა ეზოტერული თვალსაზრისით და მათ შორის ისევ ვეფხის გამოსახულება, როგორც აპოკალიფსური მხეცისა. აპოკალიფსური მხეცი ამ ფრესკაზე გამოსახულია დაწინწკლული ვეფხის, ანუ პანთერის სახით. საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ვეფხი ეს არის პანტერა, დაწინწკლული ვეფხი. ასეთი ეზოტერული სიმბოლოები მრავალია ქართულ ფრესკებზე, ქართულ ტაძრებში და ისინი მოითხოვენ სპეციალურ კვლევას, სპეციალურ განმარტებას მე ერთადერთს იმას აღვნიშნავ, რომ ძალზე ხშირია გრაალის მოტივები ქართულ ფრესკებზე. ასეთ მოტივებს ვხედავთ ჩვენ გელათში, რომელიც, როგორც ცნობილია, იყო მართლმადიდებლური მონსალვატი, გრაალის კულტურის კერა და საქართველოში გრაალის ქრისტიანობა შერწყმული იყო მართლმადიდებლობასთან.

დასავლეთში ეგზოტერული ეკლესია, კათოლიკური ეკლესია გამოყოფილი იყო ეზოტერულისაგან და ჯვაროსნულ ომს უცხადებდა მას, ხოლო საქართველოში ეს ყოველივე წარმოადგენდა ერთ მთლიანობას და ამის გამო უწოდებდნენ ჯვაროსნები დავით აღმაშენებელს მეფე-ხუცეს იოანეს. რას ნიშნავს მეფე-ხუცესი იოანე და როგორ უნდა განთმარტოთ ის ხანა კაცობრიობის ევოლუციაში, რომელიც უკავშირდება მეფე-ხუცეს იოანეს? ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ ჩვენ ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა „პარციფალი“ . ვისი ძეა მეფე-ხუცესი იოანე? იგი არის პარციფალის ნახევარძმის ფაირეფიცის ძე. რას ნიშნავს სიტყვა ფაირეფიცი? სიტყვა “ფაირეფიც” ნიშნავს “შავ-თეთრ ვაჟს”. რატომ არის შავ-თეთრი ეს სიმბოლო? ჩვენ ვიცით, რომ შუასაუკუნეების რაინდულ რომანებში და პოემებში



მამა-შვილი კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიები

პიროვნებები, გმირები სიმბოლურად განახორციელებენ რომელიღაც გზას, რომელიღაც იდეას, ისინი წარმოადგენენ პერსონიფიკაციებს. კერძოდ, პარციფალი წარმოადგენს დასავლეთის ინიციაციის გზის პერსონიფიკაციას, რომელიც ეძებს გრაალს და პოულობს მას, ხოლო ფაირეფიცი წარმოადგენს აღმოსავლური და დასავლური გზების შერწყმას, ამიტომ არის იგი შავ-თეთრი, ე. ი. თეთრი რასსისა და უფრო მუქი რასსის შენარევი.შავ-თეთრი არის აგრეთვე იმიტომ, რომ მასში შერწყმულია ქრისტიანული დასავლური სიბრძნე არაბულ სიბრძნესთან, ისევე როგორც ტამპლიერობაში. ტამპლიერობა არის დასავლური ინიციაციური გზა გადმოსული აღმოსავლეთში, რომელმაც აითვისა აღმოსავლური სიბრძნე, კერძოდ არაბულ-სპარსული სიბრძნე და იშვა მისგან ჰიბრიდი, შავ-თეთრი ვაჟი ფაირეფიცი, რომელიც არის განსახიერება აღმოსავლური ტამპლიერობისა, ტამპლიერობისა, რომელიც გადმოვიდა აღმოსავლეთში და მიიღო აღმოსავლური ელფერი და ამ ტამპლიერობასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე ძველი ქართული რაინდობა და, უწინარეს ყოვლისა, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფის ეპოქის ქართველობა, უწინერეს ყოვლისა შოთა რუსთველი, ტამპლიერობა მარტო დასავლეთის საკუთრება არ არის. ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციაცია. ამიტომ არის რომ ამ შავ-თეთრი ვაჟის, პარციფალის ნახევარი ძმის ძეა მეფე-ხუცესი იოანე. მეფე-ხუცესი იოანე ჯვაროსნულ ქრონიკებში იდენტიფიცირებულია დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ეს არის არა მხოლოდ პიროვნულად დავით აღმაშენებელის სიმბოლო, არამედ საერთოდ მთელი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც დაიბადა დასავლეთში და შემდეგ შეერწყა აღმოსავლურ სიბრძნეს. ამ გაერთიანებული, სინთეზური სიბრძნის შვილია ის კულტურა, რომელიც მოხსენიებულია ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ როგორც ტაბრონიტი, ანუ კავკასიის მთიანეთი. საქართველო იქ პირდაპირ ნახსენები არ არის, ვინაიდან ეს ალეგორიული პოემაა. ეშენბახის პოემაში არც ერთი ისტორიული პირი არ არის მოხსენიებული, იქ არის მხოლოდ სიმბოლური და ალეგორიული სახელები როგორც ქვეყნებისა, ასევე პიროვნებებისა და პერსონიფიკაციები ამა თუ იმ მოძრაობისა, ამა თუ იმ ინიციაციური გზისა მოცემულია სხვადასხვა გმირის სახით. კერძოდ, პარციფალის მამა გაჰმურეტი იმ ეტაპის სიმბოლოა, როდესაც ჯერ არ იყო განთავსებული გრაალის მოძრაობა და გრაალის ქრისტიანობა ჯერ არ იყო გამოსული ასპარეზზე. პარციფალი თვითონ გრაალის მოძრაობის სიმბოლოა, ხოლო ფაირეფიცი, როგორც ვთქვით, არის აღმოსავლეთში გადმოსული გრაალის მოძრაობის, ანუ ტამპლიერული მოძრაობის სიმბოლო და ყოველივე ამის წყაროდ ვოლფრამ ფონ ეშენბახს პირდაპირ აქვს მითითებული ტაურონიტი, ანუ საქართველო. საქართველოს ფსევდონიმი, ასე ვთქვათ, ამ ნაწარმოებში არის ტაურონიტი, ანუ ტაბრონიტი. რატომ არის ეს ნახმარი? ეს სიტყვა დაკავშირებულია ტაურუსთან, ანუ კუროს კულტურასთან, ხარის კულტურასთან; ხარის კულტურა, როგორც მოგეხსენებათ, პროტოქართულ, პროტოიბერიულ სამყაროში იყო წამყვანი, ვიდრე კოსმიურად, ზოდიაქალურად იყო კუროს ეპოქა. თქვენ იცით კრეტა-მინოსის ხარის კულტი, მინოტავრის კულტი, მასთან ბრძოლა და სხვა. და, ამასთან დაკავშირებით, ვოლფრამ ფონ ეშენბახი აღნიშნავს, რომ ეს არის წყარო მისტერიალური კულტურისა. აი, ამ კავკასიის მთიანეთზე, ამ ტაურონიტზე, ამ ზღაპრულ ქვეყანაზე, სადაც მეფობს მეფე-ხუცესი იოანე, ვოლფრამ ფონ ეშენბახი ამბობს, რომ ეს არის სათავე ყოველივესი — მისტერიალური სიბრძნისა და მისტერიალური კულტურისა. ასე არის მინიშნებით მოცემული ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“. და ვოლფრამ ფონ ეშენბახის ნაწარმოები, მოგეხსენებათ, არ არის ადვილად გასაშიფრი, არ არის ადვილად ამოსახსნელი. მთელი რიგი სიძნელეების წინაშე დგანან მკვლევარები, თუნდაც იმ დაშიფრული სახელების, გეოგრაფიული სახელწოდებების ქვეშ თუ რა იმალება, მაგრამ ჩვენ შეძლებისდაგვარად შეგვიძლია დასკვნების გამოტანა, ვინაიდან მას კონკრეტულად აქვს მითითებული კავკასიის მთიანეთი, კავკასიის ქედის მიმდებარე ქვეყანა როგორც წყარო მისტერიალური კულტურისა და მეფე-ხუცეს იოანეს სამკვიდრებელი, რომლის სახელმწიფოშიც არის სულიერი სიბრძნის კერა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯვაროსნები სულიერ ინდოეთსაც უწოდებენ. ინდოეთად მოიხსენიება ეს ქვეყანა იმის გამო, რომ ინდოეთი შუა საუკუნეებში იყო არა მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინი, არამედ ხშირად იხმარებოდა სულიერი თვალსაზრისითაც როგორც სულიერი, მისტერიალური კულტურის სამშობლო. ასევე იხსენიება ინდოეთი „ვეფხისტყაოსანში“; ის გეოგრაფიული და ისტორიული ინდოეთი არ გახლავთ. ასე იხსნება იგი ნიზამი განჯევის „ისკანდერ-ნამეში“ — ინდოეთი, როგორც მისტერიათა სამყარო. ამის გამო ვხვდებით ასეთ დამთხვევებს ქართულ და დასავლურ კულტურებს შორის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ არც გამოკვლეულია და არც ისტორიამ შემოგვინახა, სამწუხაროდ, ბევრი მონაცემი ამ პერიოდის ურთიერთობების შესახებ. მაგრამ ისეთი ქმნილებები, როგორიც არის „ვეფხისტყაოსანი“, ოდები, დასავლეთში რაინდული რომანები, ვოლფრამ ფონ ეშენბახის პოემა, მაინც მინიშნებებს გვაძლევენ იმ ღრმა ურთიერთობებზე, რომელიც არსებობდა იმჟამინდელ საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. კერძოდ ის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“ საოცრად ენათესავება დასავლეთის რაინდულ რომანებს, თუმცა აქვთ თავისებური, უაღრესად ღრმად თავისებური სპეციფიკა. და აქ იკვეთება აგრეთვე ქართული კულტურის მისსია. ამ ნაწარმოებებში აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურის ტრადიციები მოცემულია ერთ მთლიანობაში. ქართული კულტურისა და საქართველოს მისსია კულტურული თვალსაზრისით არის სინთეზირება დასავლური და აღმოსავლური კულტურებისა და მათი მოცემა ერთ მთლიანობაში. ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ისევე შეგვიძლია ჩავთვალოთ დასავლური ლიტერატურის კუთვნილებად, როგორც აღმოსავლურის. აქ გაყოფა და გათიშვა შეუძლებელია. ამიტომ არის რომ ფიტარეთი, ეს უდიდესი ძეგლი ქართული არქიტექტურისა, შეიძლება ჩავთვალოთ როგორც ქრისტიანული არქიტექტურის ნიმუშად, ასევე აღმოსავლური არქიტექტურის ნიმუშად. აქ დასავლური და აღმოსავლური კულტურული ელემენტები ყოველთვის ერწყმოდა ურთიერთს.

ასე იკვეთება ჩვენთვის საქართველოს მისსია, ქართული კულტურის მისსია. მრავალი მომენტი დაგვრჩა, სამწუხაროდ, გაუშუქებელი და უნდა მოგახსენოთ, რომ ბევრია სათქმელი ამ მიმართულებით, მაგრამ ერთი ლექციის ფარგლებში შეუძლებელია ყოველივე ამაზე საუბარი. ჩვენ ალბათ გვექნება ამასთან დაკავშირებით კიდევ ლექციები, საუბრები და სასურველია, რომ მივაწოდოთ ამის შესახებ ცოდნა დასავლეთსაც, ვინაიდან დასავლეთში მრავალი რამ ქართულ კულტურასთან, ქართულ სულიერ გზასთან დაკავშირებით არ არის ცნობილი. სამწუხაროდ, შუქდებოდა უფრო გარეგანი ასპექტები ჩვენი ისტორიისა, ჩვენი კულტურისა და სწორედ ასეთი შეხვედრები უნდა იყოს საწინდარი, რომ უფრო მეტი ურთიერთგაგება და ურთიერთგაცვლა გვექნება ცოდნისა, ინფორმაციისა.



## გური ოტობაია

ეპიკური პოემა

### კირბი XIX. მელეხიში

ოდი ბოში ორწყე გოლას, დუძახუნა გოლგოთასუ,
ჭითა დიხა ორისინანს, გეგონებუ ორქო თასუ,
ეპონილ რე ვერეხ ჯვარი, გეჭკადილი ოკო რდასუ,
ასე მიდგას ოძირანა ბორჯეფიში ეკორთასუ,
469 მოურს ხატი გეღანიში, დღა ანთასი ჭეხანიში.

სინჩხე გარზუ თაკარია, ნიტე ჭუა დაბაღდანი,
ჭარუ: მაფა ვორექია, ძირუნს: მალას განარღდანი,
გეჭკადილი კოჩიშ ღურა ოკო წვანჯშა განაღდანი,
ჭვირთუნა დო ქიდიკუსანს: ელი, ლამა საბაქთანი?!
470 უფალს ჟინცა დოუკილუ, ღურათ ღურუ დოუცვილუ.

მელე-მოლე გეპონელე გეჭკადილეფ ჯვარეფიშა,
ჩე ნოჭკერი ეთაკირნა ზისხირელი ხარეფიშა,
უხთოს მუჟამ ურჩქილარუ ნარგუსუა-ჭყალეფიშა,
ვართ ღურუშა ოშქურნა დო ვართი ჟინცაშ ჭვალეფიშა.
471 სიცოდილი ვაუჩქუდეს, ოხვამეფი გოურჩუდეს.

ვეტალენდეს ცირასქუას კართე უგულანძღაფუო,
ვადუტებნა დოკვანწილი შარა უკუბანძღაფუო,
ვადუტებნა მართალკოჩი გური ულუწყანწყაფუო,
ეკიძირეს გოჭყაფილიშ დობადონა სანწყაფუო.
472 ლისმარეფსი თეშ ცურენა, ითამ თოფურს მიშარენა.

თიში ფირქის კითხულენა: თქვანი ჭუათ ბღურუქია,
ურჩქინჯალათ გოჭირუდეს, შხვა მუ ქიმნას ცურუქია?!
თქვანი სინჩხე სინჩხე მაფუ, დობსქუ თქვანი ჩხურუქია,
ამარ, ჩქიმდა მალეპურონ თოლიშ გიმაწკურუქია.
473 ლისმარეფი იქექებუ, თის ვარიდა, სი გერგებუ.

გაბორებე ჟირიხოლო, ლისმარეფი გავარდებე,
მითირასინ ოკო, მარა გოფშა თუთას ვამართებე,
ექი-აქო გუგონებნან, არძა სიტყვა გამართებე,
ნტერი ქიცოროფეთია, ირი ჭუა ამარ თებე.
474 კუჩხიშ ჯუნას ლამენა დო ჯარალეფი ჟღამენა დო,

კამათელი იხარჭალუ, გვერი დუდშე მიღვარკალუ,
ხვათა-ხვალე ოსურეფიშ გურს ჩილამურ იგვარგვალუ.
თენეფსი რე წილუნდესუ, ომანესი ხვილუნდესუ,
ჟითუოლო ცვილირეფსუ უკულ ხამუთ ცვილუნდესუ.
475 მუ ქექე რე ლისმარეფი, ნიტე ორდას სისმარეფი.

**ჟინხონარი**

„ღორონთიშ უკულ დიდა რე ირკოჩიშ უწკონდაშეში,
ქიანაშ ნერჩი თინა რე, უთინეთ სინთე დღას ვეში.
რინა დო ღურაშ წყურგილი, თიშ კიდირიში ბჟაშე შვი,
ირფელი გურით მირჩქილე, მუ რე სანდობა გაშეშქვი?!
476 ოსურსი მარდი გინაგი, ეგება გირსხას თინაქი!

თის ტყობუ რჩქინა ნანდული ღორონთიქ მუდგა ქიმინუ,
სარანჯშე დგინდგი ხეჭერუ, სანთელო გიოქიმინუ,
ცუნგა გილუდუ ცუჯეფი, ჟინიშო გოგირსიმინუ,
ცვერე გილუდუ თოლეფი, ცხადიშო გოგირცხიმინუ.
477 ირიში ჯინჯი თინა რე, ღორონთიშ გინათინა რე.

გიცორდას დიდა პურონა, დაჩხირი ელიებური,
თინა რე სქანი ინჭა დო ოღვარღვაია ყებური,
რკიაფით ეგორჩქინუ დო ხვამათი სუკი გექური,
პატი ქოცი დო ღორონთშე დღას ვამორხვადუ ლეკური,
478 ცოროფა მიდგაქ მიეფუ, მუთუნით ვეპატიებუ.

ჩილით თიშნერო გიცორდას, მუშენდა ჭუმე დიდა რე,
გემკურსი ბორჯი ჭიჭე დო ირი შურდგუმაშ სქიდა რე,
ტან ქუდუცუნე თინასი, უოსურეთი შქვიდა რე,
გეკოჩანებუქ ნონტყელი, ჩქვალა დო ქვარა გიდარე.
479 კვარჩხი მორძგვიშე მინირთუქ, მხეცი კირიბო გინირთუქ.

დიდა დო ჩილი ბჟა რენა ქანაში მათანაფალი,
ღორონთიშ უკულ — თინეფი სქან რინაშ მართინაფალი,
თინეფით გეოხვამებუ სარანჯი მინანჭყაფალი,
ქიმენდობარი ოსურს დო მეჭყორდუ გილაძგვაბალი.
480 შხვანერო ართო ლაგვა რექ! ღურუშო გილასაქვარენქ!"

ორწყე: ტანკუნტა კათასი, ოშმეშამსი დო ქორსასუ,
მინაჩაბახნა ჟირხოლო დაიასი დო ნოსასუ,
მუნეფ ფაღურო ხენა დო ოსურქ სოხანე ქოსასუ,
მუნეფ წუწელეს ტკაბუნა, ოსურქ ჩილამურ მორსასუ.
481 ითამ სქუალეფ ვარენა, დაჩხირშა მიაზარენა.

კიდირეფიში ოჭვალო, კართეში ოხიროკალო,
ჩენჯალეფიში ტანიში დიფათი ოღიროკალო,
ლეჩქვი ცუცნაკით აჭკუმუ, თუმა რე გიმახოკალო,
ხელეფი იტუტალებუ ფურკიში გიმაბორკალო.
482 თოლსვეტერიაქ თექ გეფი, იჩაბახუნა ჩექმეფი.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №442**

ორწყე: ღერძესი გართუნა ძუძუეფი დო ხარითუ,
თუმა იქვაჩუ შქიორა, თოლი ირზამუ ჯღარითუ,
რე ჩინოდუა ფუჯიში ლაკარტითი დო ჯღვალითუ,
ტორონჯის ფსუა მეტახუ ოჭნახი ოჭყანჭყალითუ.
483 ჰავას ქუდუჭყაფ ლინტორი, ტიოზია რე მინდორი.

ორწყე: ღორონთშა მებუნი, დიდა გვაშაში ბოგა რე,
ორწყე: ღორონთის უკებუნ მედე მამიში კოკა რე,
ხეს უფინუანს, მორთია, კინ თენეფიში მოგვარე,
კირდეშე გინმოცენანი, სახელო დიდამოკა რე.
484 რე ჩილამურიშ ტკურტკინი, რე ფსუალეფიშ ხურთქინი.

გემი მიჭვირთუ გენწყილო, აფრა მეთხოზუ აფრასუ,
ანძაშა ქუგლუხუნუნა მაჭირხოლეფი ცაშფრასუ,
გვერსუ დუთირუ ოსარე, გეშაზგილატე კაბრასუ,
ოდი ქაჩამუ კითისი, ვაძირუნს მუში ძაბრასუ.
485 კინე ფირქეფისი დინტყოლუ დო ჰელხეთ ქიმიხინკოლუ.

„ჰელხე: **...ეკმანგარს ცოდებო, მუ გოკონია ტროაშა,
სქან წონა ორქოთ გირსხია, ვორწყექ, ღურუშო გოცაშა.
მა უწირწინუქ, ქორდა-მაქ, დუდ ვემიჩა-მაქ მონკაშა,
შურო ქუვორექ ჰელიშდა, შურს გეშუცუნა კონკაშა.
486 ატრიდიშ მიჩქუ ქანაში, ვარე მაპანჯუ ქანაში.**

**მინოსშე მერგეს ქრისექი, ოშ სტადიონქი შქვითიშა,
ოხვამე თექ რენ, უჯგუში ვეცი ვემერთდა კინ თიშა,
თექ დომგურუაფ ფურინი ფსუატახილი ჩიტიშა,
იშენით მუთუნ ვამსხუნუდ მურიცხეფიში ჭვიტინშა.
487 ღორონთეფიში ოხვინჯუს ჟარნეჩი კილე დობლინჩუნს.**

**ბწირწინუნქ: ვორექ ჰელიში, ჟინობა გოჭყორელეფი,
ძიცათ ღურუნა არწორო, გემკომკვარჩხესი ხელეფი,
მიკენელეფი ცოფენა, ჭე ქახოლუდეს ჩელეფი,
ბებიშა აგვენუნია პეული-ქუჩუჩელეფი.
488 შურიგე, ვამაქადაგა, სი რძირი ჩქიმი მათაგა.**

**ჰოდო, დოპილით ჟარნეჩშა ეთი დღა-სერიშ გონჭასუ,
ჰერაკლეს ირო შხვა ცუნდუნ, სი ართის თხოზუდ ხონჭკასუ,
მარას მორლურდუ უკული, ნინ-თი რე თოლეფს კონჭანსუ.
ვორწყექ: დოფსქიდი სქანითი, მუჭოთ ქიანაშ გოჭყასუ.
489 რლურსუ დო კირბის რკითხულე, ხეშა ხელეფი მინდღულე.**

**ცვა გონიო რე კუნთხუთი, კუჩხიში კითი მაჟირა —
ეკინალაში სუკია, ბირა-რთაფათი ნაზირა,
ამარი — სქანი ინანა, ღურაშო ვემიხაზირა,
ვაწონენქ გიმილ ღუმუსი, ბრელი ჭუაში მაძირა,
490 ამარ, კიდირი ბაბაცი, გური მითინშა ვაგაცი.**

**შარეფი გელუ გორგოთა, ულიებუ დო ბანძღილი,
ცირეფი გიგასოფუნა, რინა დო კართე ლანძღირი,
მა შორშე მიგოყიყინა, შური დო გური წყანწყილი,
ორჩინუს გამარიგენა ქვიშონას თუთა ქა ნწყვილი.
491 სი მუთუნიშე ვენარღა, ჩიება რობუს ვენარღვა!**

**ბოშეფი გაში არძა დო აკა ვეცუაფ ჩქიმიშე,
პალმაშ ნოცელას გირჩანა, გოკონდა წყარსი ქიმიშე,
ხვამარდის ჯაშე თოლუნა, ინა ველობე ჭინიშე,
დაჩხირს ნორცხვაშე ორზანა, ვართ მარწკინიაშ რწკინიშე.
492 მა ქივაცუნუქ ქირეფსუ, სი დოსქიდუქი ბირეფსუ.**

**ირფელ გინირთუ ნოჩეჩო, დოსქიდუ აკა თი ბირა,
გეგნიფურცელუ წანეფი, ლიმუათ ეკნაკიბირა.
ქიმშენთხორუნა ქვიშასი დღალეფი გილნატკიბირა,
ხვალახე სქანი სი შურიშ ცახოცშა მიკირა.
493 ელმარჩქილენო ღანჩალი, ეწმაძირენო ქვანჯალი?!**

**მუნაფა ეკმიკვარკვაშუ, მუჭოთ ჩხოროფა დრაკონი,
სი მუთუნიშე ვაზურდა, ჭარას ხვიცაფა ვაკონი.
ოხვამეშ კარსი გივონჯა, ქომოცენს ქანა ჭაკონი,
ქუა დოსქიდუ ქუათი, ჯა იცუაფუ ჯა კონი.
494 ხვალახე სი რე დითირი, ჰელხექ გითირუ თი თირი".**

### კირბი XX. რამზესი

**აქციუსი** (ფაეტონი)

გოხინწესი ფართო ზღვაშა, ნიში, გემი დო ხვამარდუ,
ასე წყარსი ირხინუნან, კინოხ დღახუშ მოხვამა რდუ,
წოხლე შარა ხიორია, აბრაგალას დუხაბანდუ,
ათეჯგურა ძალ-კიდირი ამდღა რენდა, გოღა ვარდუ. —
495 არქემეფი იჩოქუნა, ბჟაშ ოხვამეს დიჯორგუნა.

ენეფ მითინს ვედენდენა, იყურშუნა ფიორდეფსუ,
დუდმანჯღვერო ლოკი ცუნა, ატარიას გიორდესუ,
ზვიგენს წყარსი ქირცონუნსი, შარდენი რე დიორდესუ,
დელფინ გევხანტ აფრეფიშა, ჩქი გერეფი მიცორდესუ,
496 მუნაფაშე მეხის ცოფრენს, ვით წანა რე გილაკობრენს.

ვითი წანას ილიონსი ევრე გარზუდ გეჰენია,
ჰელიოსიშ პოლ დუ თინათ, აფუნი თუ ეკენია,
უონჯღორეთ ტაცალერი უმბელე ჯორს გეხენია,
ითამ ელენს თხოზუდეს დო ფირქის კირბი მეხენია,
497 შურ ელიშო დარსხებული, როკაპშა რდუ მესხებული.

ბედიშ დაფეფს გერჭარაფუ იონაში საქვარეფი, —
ტკუცილ რინას ჩურცხინუე კაკლარი დო ძაგვარეფი,
ხვათა-ხვალე სი მინორძუ დოსქვე ჩქინი აგვარეფი,
ლეკურეფშე გიშეცუნე გურთანი დო მაგანეფი.
498 მიძირუა ირ დიხასუ, რჩქინაქ სოდგა წირდიხასუ.

მიძირუა მანტუშ ზღოდის, ჰელიოსის უმარდუნა,
ეჩით ბეჭნა ვითოსუმსუ, რინას ჰამას მომართუნა,
ნავლა რენა თავრეშენო, წყარეფს გილახომარდუნა,
კოს ჟითუო წირუნდესინ, კინე ხოლო ხომ ვართუნა?!
499 ცურუეფი ქიდიცუნე დო ქიანა ქეკიცუნე!

მიძირუა კირდე-ანდეფს, თინათ ჩქინი ნაგორა რე,
ჩხომიშ საგანს ეკოპუნდით, ანდი ტკილი შქა გოლა რე,
შარა ვარე ირკოჩიში ღულა რინა ვაგოლარე,
ჟიშეიან თოფურ რენდა, ინა ქვინჯის შხამკოლა რე.
500 გოფაჩილი გაკონარი! ღულოზირი გაბონარი!

მიძირუა ტიბეტისუ, ატლანტაშე ნაფალასუ,
ჯაიასუ გითოხენა ქირქეჯგურა ფაფალასუ,
თექ მითინი ვემეთხოზუ ნთქორუა დო რძღაფალასუ,
ვანარღენა სირჩინუეს, ვართ — ცირაში ძღაბალასუ.
501 ქიდაგურე ხი დო ორე, წკვარამეფი გუსინთორე!

ბოლოს დირთუქ აიაშა, მარა დორხვად ჩვარჩვალერი,
ვაგაშქურნას, ირი ჭუა მოთაცალო გარჩქალენი,
ჯვეშობურო ეწკაცუნუ ბჟაში სინთე ბარჩხალერი,
არძა დუდის დუკინანსი, თინი რე თუ კვარჩხალერი.
502 სქან ტიბინი ვესურებუ, ირი მარდი გესურებუ.

მარა დიო ქიმიჭყანე, მა ბაბუ დო სი — ბადიში,
ჯვეშობურო გეშეჯარჯი, შარა გეიძ ჯინათიში,
ქრისეისი ვეჩირცხუა, სქანგურშენი რინა თიში,
გერზამე დო იკვარკვანტუ, მალამო რე ჩილათიში.
503 თინა გარზენს ირი ძალას, მარდი თიში ოსურალას! —

თუთა შქვითშა დითირუ დო ქრისეისით ქიმკიკვალუ,
ოდი ბოშიშ ფართო კიდირს ალიშფერი ქიგნადვალუ,
ხასეფ ჩხეშას მიორღვანა, მინ თვალუ დო მინქ ვათვალუ,
ეწაძირუ მუში ცირა, მუჟამს თოლი ქიმკადვალუ.
504 ქიმაკათუ ქურუმ ბაბუ, თექ რე ღურუ დარუმფაფუ. —

რამზეს მაფაქ თოლი გერდგუ ოსხუნური სასინჯოთუ,
ნუთის გარზენს ბჟაში ნახას უკდებაშა სახინჯოთუ,
წათეობა გეგნუჩამუ აიაშა დახვინჯოთუ,
კა დოიგორ, სიზოსტრატე, მაფალობას საცინჩოთუ.
505 ვაჩირთი დო ქიდაცუნდა, გინძე შარა გაცი კუნტა. —

თუთაქ მირთუ ვითოსუმშა, ოდიქ ულა ქიშილებუ,
ბრელი შარა დო აკართუ ფოქვით გეგნიქვიშალებუ,
ოთანუანს სფინქსიშ ოროს, ნუთიწკუმა იშანებუ,
ჰელიოსიშ ფსქე დო ორთა გვალო გეშეჯიშანებუ, —
506 ერჩქინაშე ღორონთულეფ, ანწი იცინა წორონთულეფ.

წოხლე პეულს მეურჩანა ცვინთელეფით შელერდელსუ,
კოპტურითი იჩიებუ, სქუაცალო ქელერდესუ,
ავრე ნუთიშ ხელეფ ნდღულუ, ევრე რამზეს ხელერდენსუ,
ოდი ნავიკოსოლარ რე მოლენ თის თუ მელენ თისუ.
507 დუდი გინოხოკილ აფუ, შარა გეუძ ოცვილაფუ.

იწირღოლუ აქციუსი დო კირბეფსი უქვაჩუანს,
ნუთი ბერეს ძუძუს არზენს დო ფიჭვეფსი უფაჭუანს,
გულურს რამზე ეკი-დიკი, საწმოხუნოს უტკვაჩუანს,
ირფელ გაცხადებული რე, გოკონ ძალამ მიკაჩუას.
508 ელაჯინე ოდი სკირსუ, ირი ჭუა გოხინწილსუ.

**რამზესი**

ვითი წანას უხვენთქუანდ ვილუშასუ ურუმია,
ვითი წანას უკვანწუანდ გემეფს წყარი დურუმია,
დოჭკადესი ჯაში ცხენი ვერეხი დო წკურუმია,
გემნილესი დინახლე დო თოლით ქიგეწკურუნია.
509 კირბიშეფსი მეგორუნდეს, ნამუთ ამარ ნწკარუნია.

აგამემნონს ქიმურჩქინი მუში ჯიმა ეგისთორე,
კუდელ მურგვა ჯოლორიში ოჭნახითი ვეგისწორე,
აბანოსი ქიმლაცვილეს, ბირცხა ოკო გემიშორე,
ხეთის მუში დღა დუკაკი, ანწი რინა კემიშ ორე.
510 ქანაანი ქუას კვათუნს, აქციუსი ჰუმუს ნათუნს.

ამარ, ჩქინი ჭიჭე ფერა პტახიშ მაფათ მინჭუაფუ,
ირი რჯულა ჩე თენგუსი თეშო ქიმიქინჩუაფუ,
გოკონ ცვინთელ ამუს რდასი, თეშო ქიმიჯინჯუაფუ,
უჩა ნეხსუ შურო მიქ თქუ, ირფელ თეშო იჩუაფუ,
511 ვადმაცუნუნ — ვაი ეთის! დუდ მეზსხუნათ აიეტის!

გემეფიში ცევე სი რექ, ა — ფარი დო ა — ლეკური,
ქენაცუნი ყუშიტეფსი, იმპუს ქუდვი გალე ქური, —
ოდი ბოში ეთმირზამუ, ჭიე-ჭიეთ მალე გური,
მარა დუდის დიხართანსი, ითამ მოწონს ზალებური,
522 ოხუტოლუ ღვეტე ნუთის დო თოლეფსი თი მინუტის

ქეწმუდირთუ ქრისეისი, ნინალუათ მოქოსილი,
ოდი ბოშიშ ცოროფათი გეჰენიას დოქოსილი,
მინი კერზის არზენს ახას, მინ გილულუ ქოქოსილი,
აბაშეფსი ეთანჯირუ ჭვემათ თოლი გოლოზილი.
513 ხალიბი თუ ნართი რენი, ოდი პიტათ ვათირენი!

სანთელითი ბეჭედანა ჟირცუჯამი ამფორეფსუ,
სარკოფაგის ქაჩუქენა ულურალაშ მაფორესუ,
ნოხი ორქოთ მოქარგილი მაძირაფუს აბორენსუ,
ეუშქვანა აფრეფსი დო ჟინბორია ფოფორენსუ,

**აქციუსი** (ფაეტონი)

514 ქუმოჭარე დღა ძიუთ სი, — ჩილამურენს აქციუსი. —

სი ავსტრეფსი ქენდობარი კავკასიში გვალეფ ცურე,
ურუმიას ქეკიტალე, ტროა იშენ გეტებულ რე,
გიაცუნი ფართო წყარეფს, ანწი მარდი, ნიტე ბლურე,
თინა რე ჩქინ შურობუმუ, ჩქინი რინაშ მეყებურე. —
515 ოდი ბოშის სა უკებუ, ართი სიტყვა ვაგუგებუ. —

წყარიშ ნებას სი ვენირზა, ინა ენურს ენმალიშა,
ქიდაცუნდა, ეშელენქუ თოლუნჭაფუ წერვალიშა,
ჟინცაშ მელე ჟინცა ცონუ, ვაგანტინე ელ-ვალიშა,
მარა ვორწყექ განჭუაფე, თესხის ტყურათ მერბალიშა. —
516 ქახუტოლ დო ქანგარინუ, ვადახუნ დო ვადარინუ.

ჰალიძონი მუსხი ცუნსუნ, გემით თისხი ქუმაცალუ, —
კათას ზღვასი მეხაშილსი დობადონა მუახალუ, —
აიეტი ქიმკაკვალი, ენა უფალქ დიგავალუ,
აიაშო გეკოჭოფი ცაშა მუდგაქ დიგაღალუ. —
517 დოკვარკვაზეს ბაგირეფი, შხუ ხონარით მაბირეფი. —

ბრელშა გეჩი, სფინქსიშ ძიცა ხორ-ონთი რე, კოჩიშონა,
სინთე თეში გერზიებუ მოჭოთ ითხინს ოჭიშონა,
ბორჯალეფი დიღერლუნა, ვაგაჭიშე მოჭიშონა,
გეჰენიათ გემანგებუ გვალა, წყარი დო ქვიშონა.
518 ქი-ენ-გი რე, სარკო დუქუ, ვაგგატიბუ ვამკართუქუ.

შუმერულო ჯოხო ასო, ბრუო რე დო სუ ასტი რე,
ურიტეფით მიხაბარკუ, მუს გერგებუ ფსუა ნთირე?!
თოლუნჭაფუ ქარაბანი ლიშიშ წვანჯშა დიგანტირე,
ირო დუდშა დორთინალა ტყურაია ნჭუაფი რე.
519 დობადონაშ ფიჩუ-ფაჩუ, სფინქსიშ ძიცას ეკმიფაჩუ. —

მირსიოლუ ჩილამურსუ გემი აფრა გოფაჩილი,
აქციუსის ხე გეგმუცენს ოსირისით მოქანჩილი,
სფინქსიშ მელე პირამიდეფ ნირსით რენა დოცანჩილი
დო ქანეფი — კინოხონი ლიმარუათ მოპანჯილი.
520 გოჭვიტაფუ მესკელესუ დო ნირსეფქით დესქელესუ.
ოდა მასმა

ზღვაშ კათა

**კირბი XXI.**

ართშა ხოლო ვამკუჯინუ ოდი ბოშის ნუთიცურე,
სა გურიშა ქიხუტოლუ, „გოლვაფირი, მუ ტიბუ რე?
სიზოსტრატეშ ამნახანტი, მუმაცალო უწიფუ რე,
მარა ბძირათ ბარბაროსშა, მუ დიღალე, მუ დიგურე?!“
521 თოლს ჩილამურ გილახენი გალენი დო დინახლენი.

მეხვამარდეფს კილეშ რქიას აკვანწალნა ოცუჯეფი,
გემიშ ხოპი სუმ ბუმა რე, საფარსაკოთ მოხუჯეფი,
ხვალე ართი ცვინთელენსი, შხვა ჭითა რე დო უჩეფი,
სუმკუნთხულო მეფურინნა ჟინცას ჩელა ღორღონჯეფი,
522 ოდი გორუნს ცოროფილსუ, რუმე რინათ გოროფილსუ.

ვარე ჰელხე მუშ ხვამარდის, ვართ მაჟირა-მასუმასუ,
ვეჩიებუ მუს მეგორუნს, ვაკო ფულირქ გასუმასუ,
გეკულებუ არძა გემი, ქოგურაფუ ნაშუმასუ,
ფართო ზღვაში გიშულაშა მოგვის ღდინი გეშუკვაზუ.
523 „მუ თახსირი ცოფერენი, შურუბუმუშ ქოფე რენი?!“

მუში ჰელხე ეწაძირე ანგორაშა მუშართუნი:
იბუძოლუ მებაზარე, გა ორინჯის გუშარდუნი,
ქრისეს სქუა გეშურსხებუ, მითქუალნა მუშა რდუნი,
ვეცი ქანაშ გინოლაფა, მიდგას თენერ გიშარდუნი.
524 ოდოიას გურშა ქელუს, გასოფუნა ღურელ-თელუს.

მუ ხანი რე ვალიმენა, გურ მორთუმუ აქილევსის,
ა — ნანდული დასქუავა, უბირუნა ოცქვაფლეშის,
ტროას დიდი ხიოლი რე, ვაკილანა მაკილეშის,
თინეფს ქრისე მევკათუანს უჩა ჭირსი მაცვილეშის.
525 ამარ, სქუას ეკაფუშანს, მტვერს ქიტონით ქუმოხუშანს.

ცვილირეფსი თეშ მირულედ, ითამ ფსუა ელაჩანდუ,
აეტიში ფსქე რენია, მახანეფშე ელაჭვათუ,
ვა იშ მეტი ოდი ბოშიშ ცოროფალას ელვანჭათუ,
მუდა ჩუთუ რენიავა, ჭველე დიფას მელანჭათუ.
526 ოდი ოკო ქრისი ცირას, ირფელ ოკო მუშით ძირას.

ჰელხექ გეგმოლ გირინშე დო ზღოდი ძალამ გიშქირთოლუ,
ვარე ხუმაშ სისანდობა, ჯაჭვის კოპა იშქვიდოლუ,
ბოშიშ თუმა კურონჭილი კიდირიშა იშ ქინტყოლუ,
თი კიდირქი წანა ვარე ტორონჯეფი იშქიდოლუ.
527 თოლეფს ოძგვირინუანა, ცუჯეფს ოცქვირინუანა.

ავრე მუმას სანწალანს დო ევრე ოდის ფუჩონუნსუ,
გოდორეფი ეკორთენა, ჯორი ხულსი გუჯორუნსუ,
გამაღეთუ ოკითხუნა: პასიფე დად მუჭო რცუნსუ?!
ოსურეფი ტკარჩალანა, ბერე ძუძუს კუწოლუნსუ,
528 თოლ ენტებუ ოხვამეშა, შხვანერო რდუ გოლანერშა.

აგამემნონს აქილევსშა ბრისეიდა მუდულალუ,
ენეფით თაქ მორინენა დო ცოროფა ითუხალუ,
ალანდარენს ზღვა ქვიშას დო ჰავათ იშენ იპუხალუ,
ქრისი ართუ ოხვამესუ, ღორონთ ბრელი იკულალუ.
529 ოდი გუშმურს თუთაშიშე, უკვე გური მუდა ჟიშე.

მორო მი რე გუცუნანსი წიმოკინას კართეშენი,
ტახტას გიოსვანჯუანა, ახავაი, სარკეშენი!
მაცირიეფ შურს კაშუნა, ფუცქინუნა მარგეშენი:
პასიფეაშ ჭაკურია ნებას ვერზენს წყარ გეშვენი.
530 გემნიცუნეს ოხვამეშა, ბჟალამი დო ნოხამეფშა.

ჰელხე: ნოღვე მიშალაფა დო ზნე ოკო ჩურცხინუე,
ჰელიშ რენა თუთაშეფი, ოკო გუვოკურცხინუე,
ქანას თენა მირსხელენსი, ნაზოჯა რე: მურსხინუე,
ღუმასერი გებძირაფუ: რინშო ქუდუბურძლინუე.
131 კარსი რაზა ქეუცოთუ, ცირეფს ლუკა გემლუცოთუ.

ოდი, ჩქიმი ქვეჩერე, მოკო ირფელ დეჯერე,
თე რინაშა უმოსო ღურუს ვამახეჭერე.
ვამაგორუ მინჯექ, ქეკმათხოზუ ჭინჭექ,
მინშა ბირჯღალ ხეთი, მინშა კუჩხი პიჭკექ,
532 იშენ მენდი მიღუ, სერი ქიმირგიხუ.

ეწმაფორუ თოლსი, ოჭკორიეფს ნკალუნს,
მინ ხასლაშე ელუ, მინ წოხლეშე ფალუნს.
ჭითა რე დო ჭარგა, ოკონ იპირკალებ,
აგინძორენს ბირცხეფს, ეთმიალე ქალეფ.
533 ბუძგურია ეცენს დო კიბირი მეცენს.

სახეს ირთანს ჭყონი, ქუა ოლიჭინანს,
ართი ეკობქურსანს დო მაჟირა ბჭინანს.
თუთაშ ოჭკორია იფართანებ შქვითშა,
მოჩოლამა სო რე დუდიშ გინასქიდშა?!
534 ჭუას იბლა-მაქი, მარა დიბლამაკი.

ბონდღუნა დო მორსნა ონტებელი ჭვიტეს,
სოთინ ქოცვათუდდა, სინთე ართო გიტეს.
ანუბისის მეგუ: ფურინ დიგურევა,
წირლით დიკვენწელი, მარა დიცურევა.
535 თიშნერეფი იჩუ, ბირგულY ეთმაკიჩუ.

მინ ისიდას მეგუ, ნაცხაცხელო კვეცუნს,
ქუა სილიმინჯი, ვითოხუთშა ტკეცუნს.
დოშაყარე გვართათ ღურელი დო თელი,
გოფალუას იჭყანს ჯიკი ფუტურელი.
536 ითამ ვორდკო ჭკორი, მენდის ვერზენს ჰორი.

მეკვენწელუ ნოცელს მაწირლიაშ ყერწო,
მიზილოკუ ქანა, ვაიძირნო ფერწო?!
ოქირცონალ ჩხომო ხამუს ოტკვაჩანა,
მუფერუანქ მაქინ, კიდირს დომქანჩანა,
537 ვარკუდუკო ითამ ჩვარჩვალი დო შქვიდა.

ქვარა გიდალ ფანდურს ჯღვალიკეფით ჭვირთუნს,
ელახარილ პიჯით გოფშა თუთას რყინტუნს.
ძვეძვერია ნორტყის აკიროკუ ბჟაკე,
ვორწყექ ოჭკადრეშე მუჭო მალაჩაკე.
538 ქინჭუანდე, ნიტე, გემარზამუ ჭვიტე.

ოშ ნახაფულს უჯგუ ჯიკუტია წყარსი,
ფუთქურეფი მორბუ ეკორტყილი წარსი,
ვეძირენა, მარა ირფელს ბგინაფულე,
ვორწყექ — იბწკონდებუქ, ვორწყექ — ბძინაფულე.
539 იბკვარტიშუქ ჯინშა, გინიცალო მინშა.

შქურინჯია ვარდ-მაქ, უწინქ ჩქიმი დუცუ,
ქელახედან ღანდას, მედეს მეტი ცუნცუ,
მითინქ ვაღურას თეშ გემკისური ღურა,
გონქირაფილ შარეფს გუანთასი ჩხურა!
540 მუს ურზუქუ-მაქი! მუს ბდურზუნქუ-მაქი!

მანჯა დუოსვანჯე, ჩქიმი თილისმა რე,
რაწკას ქუგოფთხოზნა თოლეფ მოლისმარე.
ქუდომჭყანა ყვინგშე ხორხუა დო ჭვარას,
ფიფრქენქ: დიდი ამბე, ვავონდურუქ ჭარას.
541 მუ დუძახა-მაქინ?! ოდიაო, ბჟაქი.

სქან ნოქურიშ ხასლას შურს სუკია მუკი,
ქიგაცუნეს თენეფქ კიდირს მუკი-მუკი.
ბოჭოკეფიშ მანგას ივარვალუ ცელი,
ჩამირცხინეს ძვალი, ჩამირცხინეს ძელი,
542 გურზუქ-მაქი ხამუს, ირფელ ჟვერდიამუს!

ვორწყექ: ირგალებნა წვანჯეფი დო პიჯი,
მამანგარენს ხუმა: ვაზურდავა, ქვიჩი!
ხვამა დიბჭყი თაქი დუდი ღორონთიში,
ქიგიბშინი არძა რჯულობა დო ჯიში.
543 ამარ, ვორექ სქანი, წყვირთალი დო სქვამი!

მითინ ვადომტებუ, გოკონ — უხთოთ ჭკადილ,
გურშა ქიფხუტოლე ჭველონეფი ჭყვადილ.
დევეკვირინ, სო რე კითეფი დო კილე?!
შუბარზამიშ კარეფ თოლით ქუმვოკილე.
544 საფარსაკოს ველუქ, გოცუ ელურ-ბელურქ.

მელენ მოგონუდუნ, სინთე სქანდე ცოფე,
თოფურს მოუწაწუ ცარგვალიში ქოფე.
აშო ეკმაცუნი, მიქანჩუანს ხუმა,
მუს დიმარკენს ანწი კვარჩხიშ მინათხუმა?!
545 დო მათ მიბაბტალუქ, დო მათ მიბამნდალუქ.

მოლსი ჟი-ჟი მეცუნქ, ვექანცალუ ცვათი,
კუჩხიშ ნარჩას ვორწყექ გოსარკილეფს ცათი.
ქიმკმაჯინე ართშა დო თექ ქუმვონგარა,
ჯერლვიშორო ლალუნს გოჩართილი შარა.
546 მუჭო გემფუ ირფელქ, სო ემფალი კირბელქ?!“

**კომენტარი:**

# ოდოია დროსა და სივრცეში

## „ოდოია“ — ძველიბერიული ზღვაოსნური სიმღერა

ამ წუთიდან ტროელები ზომაზე მეტად გათამამდებიან. მართალია, მათი მხედრობა ბერძნებზე ათჯერ მცირერიცხოვანია, მაგრამ ტროას ბურჯი ჰექტორის წყალობით ზედიზედ მწარე მარცხს აგემებენ მომხდურს. ტროელების ტრაგედია კი ხელჩართულ ბრძოლებში აქილევსის მეგობარი პატროკლეს, აქილევსისავე აბჯრით მონაწილეობის შემდგომ დატრიალდება. ჰომეროსი ჩვეული მახვილგონივრულობით გამოაჭედინებს ჰეფესტოს გმირთაგმირი აქილევსისათვის გამორჩეულ იარაღს. ეს ყველაფერი პელიდის ომში დასაბრუნებლადაა გამიზნული. პატროკლეს ჰგონია, რომ აქილევსის საჭურვლით გამოჩენა ბერძნებს ძველებურ მხნეობას დაუბრუნებს და ამით თავიდან აიცილებენ სამარცხვინო გაუბედაობას. მაგრამ როცა ჰექტორი განგმირავს აქილევსის ზუჩ-მუზარადით შემოსილ პატროკლეს, თავადაც მწარედ იკბენს ცერა თითზე, ვინაიდან მიხვდება, რომ უკვე პელევსის ძის შეჩერება შეუძლებელია, რადგანაც მისი სახით სანახევროდ კოლხური მოდგმის ხალხი უკვე ბერძნების მხარესაა გადასული. აი, ეს წინდაუხედაობა ხელიდან გამოაცლის ტროელებს ნეიტრალურ ძალას და დედაბუდიანად ამოიძირკვებიან ცბიერი მტრისაგან. თუმცა ამ ყველაფერს ოდი-ოდოია ვერ შეესწრება, ეს ამბები ეგვიპტეში მოხვედრილს მოგვიანებით გაემხილება ბაბუა აიეტის ნებით დასაჭურისებული ძმისგან — ფაეტონ-აქციუსგან. ერთ-ერთი შეტაკების დროს გოლიათ ოდოიას ხარჭაწართმეული აგამემნონი სასიკვდილოდ დაჭრის შორიდან გამოტყორცნილი შუბით. ახლა კი აიჯაგრებიან ჰალიძონები, ხელში აიტაცებენ თავიანთ სულთმობრძავ წინამძღოლს, ორომტრიალს გამოარიდებენ. საიდუმლო კარით გამოაღწევენ ალყაშემორტყმული ქალაქიდან, ჩასხდებიან წითელფერდიან ხომალდში და სამშობლოსკენ გამოეშურებიან. მძვინვარე ქარიშხალი მათ მიმართულებას შეუცვლის და კოლხეთის მაგივრად ხმელთაშუა ზღვაში შეაგდებს. გზადაგზა ოდი-ოდოიას მეგობრები: ვაინხების — ფჰარმათი, ყაბარდოელების — ნასრენ ჟაკე, აფხაზების — აბსრკილი და სასრიყვა, ალანების — სოზრიყო-სოსლანი, სომხების — მჰერი, მოსინიკების — ამირანი და ძმანნი მისი მოსამსახურეებად რჩებიან კუნძულებზე სურსათ-სანოვაგისთვის თვისტომის გადასარჩენად. მოკლედ, მომაკვდავი ოდი-ოდოია და წითელფერდიანი ხომალდის ეკიპაჟი აიას მაგივრად ეგვიპტეში ამოჰყოფს თავს. იქ ჰალიძონები თაფლში ჩაწვენილ, მომაკვდავ უფლისწულს აიეტის ძმას, აქციუსს მიჰგვრიან, რითაც დიდად აამებენ მზის ქალაქის ქურუმთა ქურუმს. აქციუსი თავზე დაახვევს დასტაქარებს ძმის შვილიშვილს და ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფეხზე დააყენებენ ბედის ნებიერას. აქედან მოყოლებული კვლავაც გრძელდება კოლხი უფლისწულის განსწავლა მზის ქალაქში: ჭაში ჩასვლა სიბრძნის მოსაპოვებლად, იფნის ხეზე ჩამოკიდება ათ დღეღამეს, თვალის ამოღება სამყაროს იდუმალებაში ჩასაწვდომად და ა.შ. აქციუსს მყარად აქვს გადაწყვეტილი, ოდი-ოდოიას მეშვეობით შური იძიოს დაუნდობელ ძმა აიეტზე. მალე ჰალიძონების მესვეურს სათაყვანებელ არსებას — ქრისეისს ჩამოაშორებს ქურუმთა ქურუმი. აქციუსისთვის ისიც ხომ და პასიფეას ბადიშია. სანაცვლოდ ფარაონ რამზეს მეორეს ასულ ნუთის მოჰგვრის და მალე ჯვარსაც დასწერენ მასთან.

ტროა უკვე დაცემულია, ფერფლადაა ქცეული მისი ამაყი კედლები. გაჟუჟულია დიდ-პატარა. ცბიერებით შეკრული ტროას ხის ცხენი თავისას გააკეთებს. არ დაუჯერებენ ილიონელები მისან ლაოკოონს, კასანდრას, მის ძმას ჰელენოსს და საბედისწერო ცხენს ქალაქში შეაგორებენ. ეს ყველაფერი ოდოიას ცნობიერებაში ნაწილ-ნაწილ შემოდის სხვათა მონაყოლის ფორმით. ფარაონი რამზეს II მრავალთა მსგავსად კოლხური ჩამომავლობისაა, კავკასიელი, ჰიქსოსების მოდგმის. მას უკვე ხეთები დაუმარცხებია და ახლა ქვეყნიერების დაპატრონება განუზრახავს. საამისოდ კრებს დიდძალ ლაშქარს ოდოიას მეთაურობით, მაგრამ აქვე ყოველ შემთხვევისათვის ორეულ კაცსაც მიუჩენს — **კას** — სიზისტრატეს. გადის დრო და მეომრებით, ხორაგით დატვირთულ გემებს კოლხი მზეჭაბუკი აიასკენ დაძრავს, მაგრამ როდესაც სამშობლოს დასაპყრობად შეღერილი ფლოტი მოსიარულე კლდეებს მიუახლოვდება, აქამდე ერთგული თანამებრძოლები აუმხედრდებიან. მათ ეჩოთირებათ ეგვიპტის ჯარით , თუნდაც დესპოტური აიეტის რეჟიმის დამხობა. შინაგანად კმაყოფილი უფლისწული განდგომილ მეგობრებს მისცემს ერთ ხომალდს, სურსათ-სანოვაგეს, მოატრიალებს ლაშქარს გიბრალტარის სრუტისკენ, თუმცა თავადაც ვერ გაურკვევია რა გზას დაადგეს, რა მოიმოქმედოს მომავალში. აქ შტორმისას მთელი ფლოტი ეღუპება ნავკოსალარს, ათი გემის გამოკლებით, რომლებითაც ნორვეგიის ყურეს მიადგება იგი.

ოდი-ოდოიას დიდი ამბით ხვდება ადგილობრივი მოსახლეობა. მათი წინამძღოლია ნორვეგიელ დრუიდებთან საქურუმო ხელოვნებისათვის მობარებული ისლანდიის პრინცესა ვოლვა. მშვიდობიანი სკანდინავიელები დატანჯულნი არიან ეგვიპტის მონურ ყოფას გამოქცეული არხისმთხრელებისაგან, რომლებიც მეკობრეობითა და მშვიდობიანი მოსახლეობის ყვლეფით ირჩენენ თავს. ნორვეგიელების სამეფო წვეულებაზე, ვანებისა და ასების გარემოცვაში მოხდება ჰალიძონებისა და პირატების შეჯახება. აქ ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც მონათესავე თვისტომს, ოდი-ოდოიას ამოუდგება მხარში, მეკობრეებს გაკოჭავენ და უაფროუნიჩბო ნავებით აბობოქრებულ ტალღებს გააყოლებენ.

ოდი-ოდოია ნორვეგიელი ფრიგის მეუღლე ხდება, რომლისგან შეეძინება თორი, კიდევ უამრავი ვაჟი სხვა ქალისაგან. იგი რამდენიმე წელიწადს დაყოვნდება სკანდინავიაში, მაგრამ გული უცხოობაში არ უჩერდება. დრუიდებისაგან მრავალ საკაცობრიო სიბრძნეს ეუფლება. ზედმიწევნით აითვისებს ზღვაოსნობაში ნორვეგიელი ვიკინგების გამოცდილებას. ახალი ფათერაკების ძიებისთვისაა მოწადინებული მისი სული. ამიერიდან კოლხი **ოდი-ოდოია** უზენაესი ღვთაება **ოდინია** მთელი სკანდინავიისათვის, ნარიკუმისთვის — ნორვეგიელებითვის, დანიელებისთვის თუ შვედებისთვის, ისლანდიელებისთვის თუ ირლანდიელებისთვის.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ეჰ, სად არის, თორემ სტალინიც გვჭირდება და მის დონეზე ამაღლებული ბერიაც, მაშინ ვნახავდით ლიბერასტების ბუმბულს, «გაშლილს, გაფანტულს ველადა»...



დავით მხეიძის საავტორო გვერდი

**მოვხუცდიო, ჯერ ვერ ვიტყვი, თუმცა 62 წლის კაცმა, რომ ვთქვა იმ დაღმართზე ვეშვები, რომლის „ფინიში" ყველა მოკვდავისთვის ერთი და იგივეა-თქო, ალბათ უპრიანია. თავად შვილიშვილების ბაბუას, ჩემი ბებია-ბაბუები სწორედ ამ თავდაღმართში მახსენდებიან და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბებია-ბაბუების ნებიერა შვილიშვილი, ფაქტიურად მათი გაზრდილი ვარ და მათგან ისეთი სითბო და სიყვარული მახსოვს, რასაც ამ ქვეყნად ვერაფერი სხვა ვერ შეედრება, არამედ ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ახლაღა ვაცნობიერებ თუ რამდენი რამის მოსმენა შემეძლო ამ მრავალ ჭირნახული ხალხისგან, ჩემს შეკითხვებზე პასუხების გაცემა მხოლოდ მათ შეეძლოთ. კითხვებზე, რომლებზედაც პასუხები დიდი ხანია საიქიოს წაიღეს — არ დაგუფლებიათ სინანული მათთვის არ დასმული კითხვების გამო იმის შესახებ, რაც მაშინ, სიჭაბუკის მიზეზით, მათი სიცოცხლის დროს არ გაინტერესებდათ?**



პირადად მე, მსგავსი სინანული ხშირად მეუფლება ხოლმე, მაგრამ, რაღა დროს?!

თუმცა, იშვიათ გამონაკლისებსაც ვიხსენებ და ერთ-ერთს, რომელიც ლავრენტი ბერიას ეხება, ბაბუას ნაამბობს „ილორის" მკითხველთა სამსჯავროზე გამოვიტან...

დედაჩემის მამა, მარტვილის რაიონის სოფელ დიდი ჭყონში დაბადებულ-აღზრდილი ალექსანდრე (ალიოშა) კოკაია, იმ ხანად, როდესაც ქვემოთ მონათხრობი, საკუთარი თავგადასავალი მიამბო, პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში უკითხავდა სტუდენტებს, „მეცნიერულ კომუნიზმს" — იყო, „საზიზღარი" კომუნისტების დროს ყველა სტუდენტისთვის „საყვარელი" საგანი...

გასული საუკუნის 70-ანი წლების შუა, ანუ, თქვენი მონა-მორჩილის სიჭაბუკის ხანაში, ნიკიტა (მესიმინდე) ხრუშჩოვის მიერ დაწყებული ანტისტალნურ-ანტიბერიასეული პროპაგანდა ჯერ კიდევ მიგორავდა ინერციით. ამ პროპაგანდით მოწამლულ ჩემს თაობას, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სტალინი თუ ბერია კაციჭამია ბოროტი გენიები გვეგონა და ერთხელაც, სიტყვამ მოიტანა თუ, რა იყო, ზუსტად არ მახსოვს, ალიოშა ბაბუას ლავრენტი ბერიას შესახებ ვკითხე — კარგი კაცი იყო ლავრენტი პავლოვიჩიო, მოკლედ მომიგო და ბერიას კაი კაცობის დასტურად ის ამბავი მიამბო, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, მაგრამ მანამდე ორიოდე სიტყვა ბაბუას ოჯახზე...

ალიოშას უფროსი ძმა, ლაზარე კოკაია ნამდვილი ბოლშევიკი რევოლუციონერი, საკავშირო „ცაკ"-ს (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი) წევრი, ერთი ქართული ფილმიდან, ამხანაგ ნამორაძისა არ იყოს, ხუმრობა გაშვებით შეიძლება ითქვას, რომ ლაზარე კოკაიაც „ლენინთან ნამყოფი კაცი" იყო. მთელს სამეგრელოში სახელგანთქმული თამადა, ფილიპე მახარაძის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 20-ან წლებში ფოთის ქალაქკომის პირველი მდივანის თანამდებობაზე მუშაობდა.

1936 თუ 37- წელს, ბაბუაჩემი, ალიოშა კოკია, ასევე ფოთის ტექნიკუმში თუ სკოლაში, სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა და სწორედ იმ სასწავლებელში მოხდა ამბავი, რომელიც ბაბუას ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა...

როგორც მოგეხსენებათ, ყველა საბჭოთა სასწავლო დაწესებულებებში ე.წ. კედლის გაზეთი გამოდიოდა და არც ბაბუას სამუშაო დაწესებულება იქნებოდა გამონაკლისი და კედლის გაზეთის ერთ-ერთ ნომერში, გაზეთის თავში ლენინის, სტალინისა და ბერიას ფოტოები ერთმანეთის გვერდზე, ანუ ერთ სიმაღლეზე ყოფილა განლაგებული. ამის შემხედვარე ალიოშა ბაბუას სასწავლებლის კომკავშირის მდივნისთვის შენიშვნა მიუცია — „ვინ აამაღლა ბერია, ლენინ-სტალინამდეო?.. ანუ, ბერიას სურათი ლენინ-სტალინის ფოტოებზე ოდნავ ქვევით უნდა იყოსო და ამ ერთი შეხედვით უწყინარ და სამართლიან შენიშვნას, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კინაღამ ალიოშა ბაბუას სიცოცხლე ემსხვერპლა!

> **„ბერიას კაბინეტში გულის ფანცქალით შევედი, იმ მუყაოზე დაკრული ფოტოები ვაჩვენე და ვთქვი, ვინ აამაღლა ბერია, ლენინ-სტალინის დონემდე? ეს არის ჩემი დანაშაული-თქო და ლავრენტი პავლოვიჩის რისხვის მოლოდინში, თავი დავხარე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ყოვლის შემძლე ბერიას გაეღიმა და მკითხა — ლაზარე კოკაია ვინ არის შენი?**

მეგრელებმა, რომ განსაკუთრებით იციან, საკუთარი სისხლ-ხორცისა თუ მოკეთეების გატანა, ეს ცნობილი ფაქტია და ფოთის შინსახკომის (მილიციის) იმჟამინდელმა უფროსმა, მიხა ჩაჩიბაიამ (რომელიც ნათესავად ეკუთვნოდა ბაბუას) გააფრთხილა ბაბუა — შენი დაპატიმრების ბრძანება მივიღე და არიქა თავს უშველეო და ბაბუაც სატვირთო მატარებელს შეახტა, რომელიც ბედად ცხაკაიაში (ასე ერქვა მაშინ სენაკს) შეჩერებულა და შუაღამისას ალიოშა კოკაია უფროს ძმას, ლაზარე კოკაიას მიადგა სახლში.

მთელი 9 თუ 10 თვის განმავლობაში ნათესავ-მეგობრებთან იმალებოდა, რა დროსაც პარტიიდანაც გაურიცხავთ ბაბუა. ანუ, დახვრეტამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, მაგრამ აქაც მშველელად ისევ მეგრელი ცეკას მდივანი, მიხა ბარამია მოევლინა საწყალ ბაბუაჩემს — პირადად ლავრენტი ბერიასთან მოუწყო აუდიენცია, თავად აუხსენი და მოუყევი ყველაფერიო...

„მუყაოს ნაჭერზე თვალსაჩინოებისთვის ზუსტად ისე განვალაგე ლენინ-სტალინბერიას ფოტოები, როგორც იმ კედლის გაზეთზე იყო და ასე წავედი ლავრენტი პავლოვიჩთან მიღებაზე", — გააგრძელა თხრობა ბაბუამ...

„ბერიას კაბინეტში გულის ფანცქალით შევედი, იმ მუყაოზე დაკრული ფოტოები ვაჩვენე და ვთქვი, ვინ აამაღლა ბერია, ლენინ-სტალინის დონემდე? ეს არის ჩემი დანაშაული-თქო და ლავრენტი პავლოვიჩის რისხვის მოლოდინში, თავი დავხარე, მაგრამ ჩემდა გასაკვირად ყოვლის შემძლე ბერიას გაეღიმა და მკითხა — ლაზარე კოკაია ვინ არის შენი? რაზედაც ვუპასუხე, — მე ძმა ვარ მისი. სახეზე შევატყვე, რომ პასუხის ასეთი ფორმა ძალიან მოეწონა ბერიას".

ბაბუამ იქვე ამიხსნა ბერიას მოწონების მიზეზი — „ჩემი ძმაა თუ მე ვარ მისი ძმა, შინაარსობრივად ალბათ ერთია, მაგრამ სამეგრელოში შინაარსზე არა ნაკლები მნიშვნელობა, ნათქვამის ფორმასაც აქვს — ბერიას მოწონება იმან დაიმსახურა, რომ ჩემი პასუხით, „მე ძმა ვარ მისი", ასაკით უფროსი ძმის პატივისცემას გავუსვი ხაზი.

იმხანად, პარტიიდან გარიცხვის საქმეების გასარჩევად მოსკოვიდან კომისიები ჩამოდიოდნენ ხოლმე; ბერიამ ყურმილი აიღო და ვიღაცას უთხრა: ალექსანდრე კოკაიას აღადგენთ პარტიაშიო. ის კი არა, განიხილეთ კოკაიას საქმეო, არამედ ფაქტიურად ბრძანება გასცა.

შემდეგ ბერიამ გულითადად გამომკითხა ოჯახური მდგომარეობის შესახებ — ამდენ ხანს ცოლ-შვილს რითი არჩენდიო — ნათესავები მეხმარებოდნენ -თქო, მივუგე...

ბერია მეორე ტელეფონს დასწვდა და საფინანსო განყოფილების უფროსს, კიურინს უბრძანა: — ახლა თქვენთან ჩამოვა ალექსანდრე კოკაია და იძულებით გაცდენილი სამსახურის ხელფასს, ერთბაშად აუნაზღაურებთო!"

ერთი სიტყვით დახვრეტის მოლოდინში მყოფი ბაბუა, პარტიაშიც აღადგინეს და სოლიდური თანხაც მისცეს 9 თუ 10 თვის ხელფასის სახით — „კარგი კაცი იყო ბერია!", — ასე დაამთავრა თხრობა ბაბუამ...

მალე დიდი სამამულო ომიც დაიწყო და ახლა ქერჩის ქართველთა სასაკლაოზე, პოლიტხელის თანამდებობაზე გამოისყიდა „დანაშაული" ალიოშა ბაბუამ. ომის მერე საჯარო ბიბლიოთეკაში წლების მანძილზე მუშაობდა სწავლული მდივნის თანამდებობაზე; პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტზე უკვე ვთქვით. დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში „პენისის" ფორმიან ტორტებს მიირთმევენ, ხოლო „ილიაუნად" გადაკეთებული ყოფილი პუშკინის სახელობის ინსტიტუტი, ყოველგვარი ეროვნულის და პატრიოტული განცდისგან დაცლილი, ლიბერასტული კადრების სამჭედლოა!

კიდევ კარგი, რომ ბაბუა არ მოესწრო ქვეყნის ასე დაცემას და გათახსირებას — 9 აპრილის დღეებში, 80 წლისა გარდაიცვალა ბაბუა, რომლის ნათქვამი თითქოს დღესაც ჩამესმის — „კარგი კაცი იყო ბერია!"

ეჰ, სად არის თორემ სტალინიც გვჭირდება და მის დონეზე ამაღლებული ბერიაც და მაშინ ვნახავდით ლიბერასტების ბუმბულს, „გაშლილს, გაფანტულს ველადა"...

**დავით მხეიძე,**
**გნებავთ იგივე,**
**ჯვებე ხეცია...**

# ზუგდიდი ახალი მერის მოლოდინში






**ზუგდიდის ვიცე-მერი გიორგი შენგელია ადასტურებს, რომ „ქართული ოცნება" მას მერობის კანდიდატად განიხილავს.**

„არ ვიცი ჩემი კანდიდატურის გარდა განიხილება თუ არა სხვა კანდიდატურა, მაგრამ თუ ჩემზე შეჩერდება არჩევანი, მზად ვარ ვემსახურო ჩემს ქალაქს", — აცხადებს გიორგი შენგელია.

პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ძალა ერთობაშია" სანდრა რულოვსი დაასახელა.

ზუგდიდის მერობის სურვილი უკვე გამოთქვა ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ და „სამეგრელოს ხმის" დამფუძნებელმა თენგიზ ჯგუშიამ. ასევე, მერობა სურს განათლებით იურისტ მალხაზ ქუჩულორიას, რომლის დასახელებასაც მისი განმარტებით, საინიციატივო ჯგუფი გეგმავს.

მერის პოზიცია ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც თანამდებობა ლაშა გოგიამ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მოგვიანებით ის ყოფილ ვიცემერთან, გია გულორდავასთან ერთად დააკავეს, ქრთამის აღების ბრალდებით.

მერის რიგგარეშე არჩევნები შესაძლოა 19 მაისს გაიმართოს. აცხადებს ცესკო.

# როგორ აკრძალა ბერიამ საქართველოში არაქართველებისთვის ქართულ გვარზე გადასვლა

**გაგანია „პერესტროიკის“ დროს თბილისიდან მოსკოვში უნიკალური საიდუმლო არქივი გადაიტანეს, რომელიც კომუნისტური ისტორიის მრავალ იდუმალ ეპიზოდს ჰფენდა ნათელს. მათ შორის იყო ეგრეთ წოდებული „კომისრის ჩანაწერები“, სადაც ლავრენტი ბერიაზეა საუბარი.**

ისტორიკოსი ივანე მარინოვი წერს: „განმარტებისთვის უნდა ვთქვა, რომ „კომისრის ჩანაწერები“ უშიშროების პირველი რანგის კომისარს, მიხაკო პაპაშვილს ეკუთვნის. პაპაშვილი ბერიას ერთ-ერთი რეფერენტი გახლდათ და მასთან ჯერ კიდევ 1926 წლიდან მუშაობდა. ბოლოს კი მოსკოვშიც ეახლა თავის შეფს და მარშალ ბერიას ვერაგული მკვლელობის შემდეგ, რეპრესიებში მოჰყვა. შვიდი წელი ციხეში გაატარა, საქართველოში დაბრუნდა და 1963 წელს გარდაიცვალა. მისი ჩანაწერები, ანუ დღიურები კი „სუკში“ („კაგებე“) წაიღეს და საიდუმლო არქივში მოათავსეს. 1989 წლის დეკემბერში კი, სხვა საიდუმლო მასალებთან ერთად, მოსკოვში გადაიტანეს. 2014 წელს, რუსეთის მთავრობამ საიდუმლო დოკუმენტები რომ განასაიდუმლა, მათ შორის იყო პაპაშვილის დღიურებიც. მათში ბერიაზე მრავალი, მანამდე ჩემთვის უცნობი ფაქტი ამოვიკითხე.

ამ ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ 1933 წელს საქართველოს ცეკას პირველ მდივანს, ლავრენტი ბერიას არაქართველებისთვის ქართულ გვარზე გადასვლა აუკრძალავს. ეს იყო სიტყვიერი განკარგულება, რადგან კანონი ასეთ რამეს არ კრძალავდა. ბერიას სიტყვას კი უკვე იმ წლებში, საქართველოში კანონის ძალა ჰქონდა და მას ვერავინ გადავიდოდა. ვინც ამას გაბედავდა, აუცილებლად თავს წააგებდა. მიხაკო პაპაშვილი წერს: „სიმკაცრისა და შეუვალობის მიუხედავად, ლავრენტი ბერია საკმაოდ მიმნდომიც იყო. უფრო სწორად კი, მისი უახლოესი გარემოცვიდან ყველას ენდობოდა, რადგან ადამიანების ამოცნობის უნიკალური უნარი ჰქონდა. მეც მის უახლოეს გარემოცვაში ვიყავი. მეც მენდობოდა და ხშირად ჩემი თანდასწრებით იძლეოდა საიდუმლო განკარგულებებსაც კი... თებერვლის მესამე დეკადა იყო. 25 თებერვალი ახლოვდებოდა, რომელიც ბერიას მაინცდამაინც არ უყვარდა, რადგან ეს დღე უსიამოვნო მოგონებებს იწვევდა მასში. მან გამომიცხადა:

— მიხაკო, საქართველოს გასაბჭოების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე რომ სიტყვა უნდა წარმოვთქვა, შენ დამიწერე. ისე განსაზღვრე, რომ მაქსიმუმ, ათი წუთი გამომივიდეს. ქება-დიდებით ნუ გადატვირთავ და აქცენტი გააკეთე ჩვენი რიგითი თანამშრომლების წარმატებებზე ამ საბჭოური თერთმეტწლეულის განმავლობაშიო...

„ქება-დიდებით ნუ გადატვირთავთში“, ბერია გულისხმობდა წითელი არმიის „გმირულ შემოსვლას“ თბილისში, ანუ ამ მომენტზე ბევრს ნუ ილაპარაკებო...“

საგულისხმო ფაქტია და ეს პაპაშვილის ნაწერებიდანაც ჩანს, რომ ლავრენტი ბერიას არ უყვარდა თებერვლის სისხლისღვრის საზეიმოდ აღნიშვნა და მიაჩნდა, რომ ვინც წითელ არმიას იარაღით დაუხვდა, ყველა ქართველი პატრიოტი და გმირი იყო. სხვათა შორის, ერთ ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, რომელზეც სერგო ორჯონიკიძის ცოლი, ზინაიდა ორჯონიკიძე წერდა თავის დღიურებში. როგორც ცნობილია, ორჯონიკიძეებს შავი ჭირივით სძულდათ ბერია და მომენტს არ უშვებდნენ ხელიდან მის მიწასთან გასასწორებლად. ზინაიდა ორჯონიკიძე, რომელიც 1960 წელს, ბერიას ვერაგული მკვლელობიდან შვიდი წლის მერე, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა, წერდა: „ბერია რომ ნაძირალა ანტისაბჭოელი იყო, მე და სერგომ ჯერ კიდევ 1933 წელს გავიგეთ. 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო გაიმართა და მას მე და სერგოც დავესწარით. სპეციალურად მოსკოვიდან ჩამოვედით. სერგოს საქართველოს გასაბჭოებაში დიდი წვლილი მიუძღოდა და „თბილისის აღებისთვის“ — ერთადერთი ორდენის მფლობელიც იყო, რითაც ის ძალიან ამაყობდა. სწორედ ეს ორდენი ეკეთა ჩემს ქმარს მკერდზე 1933 წლის 25 თებერვლის საზეიმო საღამოზე. ძალიან ულიმღამო, არასაზეიმო კონცერტის მერე, პატარა სუფრა გაიშალა თეატრის სასადილოში. ბერიამ, რომელიც ამ სუფრას მხოლოდ ოცი წუთით დაესწრო, წითელი არმიის სადღეგრძელო არ დალია. უფრო სწორად, თავისებურად დალია და თქვა — 25 თებერვალს, ყველა თავდადებულ გმირს გაუმარჯოსო... სიტყვით მას ვერ შეედავებოდი. მოგვიანებით კი, როცა მე და სერგო სახლში დავბრუნდით, ჩემმა ქმარმა მითხრა: „ზინაიდა, მე მომეჩვენა, რომ ბერიამ წითელი არმიის სადღეგრძელოს მაგივრად, ქართველი იუნკერებისა და მათი თანამებრძოლების, ანუ ჩვენი მტრების სადღეგრძელო დალიაო“... სერგომ სტალინსაც კი უთხრა მოსკოვში დაბრუნების მერე, — ბერიას სახით უბეში გველი გიზისო, მაგრამ სტალინმა მას ყური არ ათხოვა...“ პარადოქსულია, ხომ? რომ 1933 წელს, ბერია ქართველი იუნკერების სადღეგრძელოს სვამდა მათი გმირულად დაღუპვის დღეს. მაგრამ, ყველა ირიბი სამხილი ამ ფაქტზე მიუთითებს და მიხაკო პაპაშვილი არაერთხელ აღნიშნავს თავის ჩანაწერებში — 25 თებერვალს ბერია ყოველთვის უგუნებოდ იყოო. ხრუშჩოვისა და მისი ბანდის მსგავსად, ბერიას ანტისაბჭოელობას ნამდვილად ვერ დავწამებთ, რადგან ყველა მისი ქმედება საბჭოთა კავშირის გაძლიერებისკენ იყო მიმართული. თუმცა, ბერია თავისი სამშობლოს, ერის პატრიოტი გახლდათ და ესეც აშკარაა. იგივე მიხაკო პაპაშვილი წერს: „1933 წლის მარტის დასაწყისში, ლავრენტი ბერიამ „მმაჩის“ (დაბადებისა და ქორწინების რეგისტრაციის სამსახური) უფროსი პავლე გედევანიშვილი თავის კაბინეტში დაიბარა და ჩემი თანდასწრებით ასეთი რამ უთხრა:



სტალინი, ბერია, სტალინის დედა - კეკე, სტალინის პირადი ექიმი ნიკოლოზ ყიფშიძე. ფოტო გადაღებულია 1935 წელს

**«ბერიამ და გედევანიშვილმა გადაწყვიტეს, რომ მმაჩის ბიუროში გვარის გამოცვლის პროცესს ფორმიანი ჩეკისტი დაესწრებოდა, რომელიც გვარის გამოცვლის მსურველს სხვადასხვა კითხვას დაუსვამდა და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენდა. ასეთმა მეთოდმა გაჭრა და 1933-1938 წლებში საქართველოში ეროვნების შეცვლის მსურველთა რიცხვი თითქმის ნულს გაუტოლდა...»**



— პავლე ივანოვიჩ, რასაც ახლა დაგავალებ, ჩვენ შორის საიდუმლოდ უნდა დარჩეს და ამ კედლებს არ გასცდეს. თანაც, ყველაფერი ზუსტად და პირნათლად უნდა შეასრულო.

— გისმენთ, ლავრენტი პავლოვიჩ, ბრძანეთ, — მიუგო ახოვანმა გედევანიშვილმა, რომელსაც გრძელი, აპრეხილი ულვაშები ჰქონდა და ძალიანაც უხდებოდა.

— ხვალიდან არაქართველების გაქართველების პროცესი მაქსიმალურად უნდა შევზღუდოთ, თორემ კატასტროფული მდგომარეობაა ამ მხრივ, მე ზუსტი ინფორმაცია მაქვს ამაზე, — უთხრა ბერიამ გედევანიშვილს, რომელმაც თავი დაუქნია და მიუგო:

— დიახ. მასეა. ბოლო ერთ თვეში ექვსი ათასი განცხადებაა შემოსული და თავის რიგს ელოდებიან. ყველას ქართველობა უნდა. სინამდვილეში კი, ასეთ ხალხს ქართველობა იმისთვის უნდა, რომ კარიერა გაიკეთოს.

— ვიცი და ყველა ეროვნებაშეცვლილი ადამიანი პოტენციური მოღალატე, შემოპარული სუბიექტია და მათ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ.

საბოლოოდ, ბერიამ და გედევანიშვილმა გადაწყვიტეს, რომ მმაჩის ბიუროში გვარის გამოცვლის პროცესს ფორმიანი ჩეკისტი დაესწრებოდა, რომელიც გვარის გამოცვლის მსურველს სხვადასხვა კითხვას დაუსვამდა და მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოახდენდა. ასეთმა მეთოდმა გაჭრა და 1933-1938 წლებში საქართველოში ეროვნების შეცვლის მსურველთა რიცხვი თითქმის ნულს გაუტოლდა...“

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ 1933 წლის მიწურულს, ლავრენტი ბერიამ საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ჩაატარა — 5 მილიონ 220 ათასიან ქვეყანაში მხოლოდ 3 მილიონი ქართველი ცხოვრობდა. ამის მერე, ბერიამ სხვა ერების (გარდა რუსებისა) ფარული შეზღუდვა დაიწყო. სამაგიეროდ, ქართველებს ეძლეოდათ პრივილეგიები (ასევე ფარულად). ამის შედეგად 1938 წლისთვის საქართველოში ქართველთა რიცხვმა 3 მილიონიდან 4 მილიონ 200 ათასამდე მოიმატა და მრავალი დაუსახლებელი ტერიტორიაც აითვისეს. ყველაფერი ეს ფარულად, ბერიას სიტყვითა და ოფიციალური კანონის გვერდის ავლით ხორციელდებოდა და რაც მთავარია, პირდაპირი, სისხლისმღვრელი რეპრესიების გარეშე“.



**მიხაკო, საქართველოს გასაბჭოების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე რომ სიტყვა უნდა წარმოვთქვა, შენ დამიწერე. ისე განსაზღვრე, რომ მაქსიმუმ, ათი წუთი გამომივიდეს. ქება-დიდებით ნუ გადატვირთავ და აქცენტი გააკეთე ჩვენი რიგითი თანამშრომლების წარმატებებზე ამ საბჭოური თერთმეტწლეულის განმავლობაშიო...**

ნიკა ლაშაური

# რას წარმოადგენდა ლავრენტი ბერიას მიერ მოფიქრებული გეგმა, სახელწოდებით – «ტაო» №42

**ისტორიკოსებსა და მკვლევრებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, თუ როგორ მოახერხა შეთქმულების ჯგუფმა ისეთი ადამიანის ასე მარტივად გაცურება და მოხელთება, როგორიც მარშალი ბერია იყო... პროფესორი კონსტანტინე პავლოდაროვი წერს: „ცნობილი გამოთქმაა – დიდ ადამიანებს დიდი შეცდომებიც მოსდითო და სწორედ ასე დაემართა ლავრენტი ბერიასაც. მისი ყველაზე დიდი შეცდომა კი, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ყოვლისშემძლე მარშალმა ხრუშჩოვსა და დანარჩენებში თავისი მომავალი მესაფლავეები ვერ ამოიცნო. საკუთარი უსაფრთხოება სრულად ვერ დაიცვა და ამით საშუალება მისცა მათ, რომ ისიც (ბერია) დაეღუპათ და ძირი გამოეთხარათ მონოლითური საბჭოეთისთვისაც, რომელმაც ნახევარი საუკუნეც კი ვერ გაძლო ამ ვერაგული დანაშაულის შემდეგ და დაიშალა...**



ძნელია იმის თქმა, რომ ბერია თავის უსაფრთხოებას უგულებელყოფდა, მაგრამ არც ერთი ბატალიონი დაცვა ჰყოლია ოდესმე, არც ყოველ კუთხე-კუნჭულში მკვლელი ელანდებოდა ჟდანოვივით და არც ყველა თავის კოლეგაში ხედავდა შეთქმულს ტროცკივით... მიუხედავად გამორჩეული ინდივიდუალისტობისა, ლავრენტი ბერია მაინც კოლექტიური მართვის მომხრე იყო და მიაჩნდა, რომ განსაკუთრებით სტალინის სიკვდილის შემდეგ, შეუძლებელი იყო საბჭოეთი ერთ ადამიანს ემართა. მან პოლიტბიუროს წევრებს მმართველი პოსტების დანაწილება და საბჭოთა კავშირის ერთობლივი, მყარი მართვა შესთავაზა.

1953 წლის 22 მარტს, ანუ სტალინის დაკრძალვიდან ცამეტი დღის შემდეგ, ბერიამ პოლიტბიუროს წევრები საიდუმლო თათბირზე შეკრიბა. ამ შეკრების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელ სტენოგრაფიულ ჩანაწერს გენერალ-ლეიტენანტი ვასილ სკობცოვი ახორციელებდა. სკობცოვი ბერიას ერთ-ერთი თანაშემწე და ნდობით აღჭურვილი პირი იყო. მართალია, ის არ დაუხვრიტავთ და არც კი გაუსამართლებიათ ბერიასთან ერთად, მაგრამ ბერიას ვითომდა დაპატიმრებიდან მესამე დღეს, ავტოავარიაში დაიღუპა. მოგვიანებით კი დამტკიცდა, რომ ის მოკლეს... სკობცოვის სტენოგრამა ღრმად გასაიდუმლოებული იყო 62 წლის განმავლობაში. 2015 წელს კი მისი ნაწილი განსაიდუმლოვდა და მრავალ ფაქტს ნათელი მოჰფინა...

22 მარტის საიდუმლო თათბირს პოლიტბიუროს ერთადერთი არაწევრი მარშალი გიორგი ჟუკოვი ესწრებოდა, რომელიც პირადად ბერიამ მიიწვია იქ და ამას თავისი დანიშნულება ჰქონდა. როგორც სტენოგრამიდან ხდება ცნობილი, ბერიამ კოლეგები ერთადერთი მიზნით შეკრიბა და ეს მიზანი იყო ოპერაცია „ტაოს“ მათთვის (პოლიტბიუროს წევრებისთვის) გაცნობა. გეგმის მიხედვით, რომელიც ბერიას მიერ იყო შემუშავებული, 1953 წლის 1 ივლისს, თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვრის სომხეთის მონაკვეთზე, მოხდებოდა ინციდენტი – საბჭოთა ჯარისკაცების ფორმაში გამოწყობილი თურქი ისლამისტი რადიკალების ასეული ქართველებით დასახლებული საზღვრისპირა სოფელს თავს დაესხმებოდა. საპასუხო ქმედებების შემდეგ კი, რომელსაც თურქი მესაზღვრეები განახორციელებდნენ, უკვე რეგულარული ჯარი ჩაერთვებოდა საქმეში და თურქეთის ტერიტორიის ისტორიული ქართული მიწის, ტაო-კლარჯეთის ოკუპაციას მოახდენდა. ამ ინციდენტს კი საბჭოთა პროპაგანდა რადიკალი ისლამისტების მიმართ თურქეთის მთავრობის უუნარობით შეფუთავდადა და ამ საკითხთან დაკავშირებით დიპლომატიური კონფერენციის გამართვას მოითხოვდა „გაეროს“ ეგიდით. გეგმა „ტაოს“ მთავარი მიზანი, რა თქმა უნდა, ძირძველი ქართული მიწების დაბრუნება იყო და ბერიას აბსოლუტურად სწორად ჰქონდა ყველაფერი გათვლილი. კონფერენციას გაწელავდნენ და ჩაშლიდნენ. ჯარს კი არ გამოიყვანდნენ და დროთა განმავლობაში, თურქეთს ხელს აალებინებდნენ ქართულ მიწებზე, ხოლო „ნატო,“ სადაც თურქეთიც შედიოდა, ვერ გაბედავდა ომის გაჩაღებას უკვე თერმობირთვული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გეგმა „ტაო“ ბერიას მარშალ ჟუკოვთან ჰქონდა წინასწარ შეთანხმებული და მართალია, იმ დროს თავდაცვის მინისტრი ბულგანინი იყო, მაგრამ ეშმაკმა ბერიამ სწორედ ავტორიტეტული ჟუკოვი დაიბევა და არა ბულგანინი...

**გეგმა «ტაო» იდეალურად გახლდათ მოფიქრებული. გამორიცხული იყო, ვინმეს თურქეთისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირს (საქართველოს) ეს ტერიტორიები დღემდე შერჩებოდა...»**

სკობცოვი წერს: „ბერიამ რომ შეკრებილებს „ტაოს“ გეგმა გააცნო, ბოლოს თქვა:

– მეგობრებო, ეს გეგმა ამხანაგ სტალინთან პირადად მქონდა შეთანხმებული და ის სრულად უჭერდა მხარს. თანახმაა გიორგი კონსტანტინოვიჩიც (ჟუკოვი) და თქვენი აზრი მაინტერესებს...“

ბერიას ყველა დაეთანხმა და „ტაოს“ განხორციელების თარიღი – 1 ივლისიც დასახელდა. ბერიას უკვე კარგად „დამუშავებული“ თურქი ისლამისტების ასეულიც შერჩეული ჰყავდა. მათ „ენკავედეს“ საიდუმლო ბაზაზე ამზადებდნენ და „ტაოს“ დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ანუ 30 ივნისს უნდა გადაესროლათ სომხეთში...

მოგვიანებით, უკვე ღრმად მოხუცებული და მონანიე, იგულისხმება ბერიას დამხობაში მონაწილე ვიაჩესლავ მოლოტოვი, „პერესტროიკის“ დროს ამბობდა: „რაოდენ დაუჯერებელიც არ უნდა იყოს, ბერიას დამხობისკენ პირველი ნაბიჯი არა ხრუშჩოვმა, არამედ მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა (დაინიშნა 15 მარტს) ნიკოლაი ბულგანინმა გადადგა და სწორედ ნიკიტა ხრუშჩოვს გაანდო თავის განზრახვა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ამ მზაკვრობას. ბულგანინი სულ რაღაც ერთი კვირის დანიშნული იყო ამ პოსტზე და 22 მარტის საიდუმლო სხდომის შემდეგ, მოსვენება დაკარგა. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ როგორც კი ოპერაცია „ტაო“ წარმატებით დასრულდებოდა, მას (ბულგანინს) მინისტრობიდან მოხსნიდნენ და ჟუკოვს დანიშნავდნენ, რადგან სწორედ ჟუკოვს უნდა მოეხდინა თურქეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია ბერიას გეგმის „ტაოს“ მიხედვით...“

როგორც არა მარტო რუსი, არამედ მთელი რიგი დასავლეთის მეცნიერ-მკლევრები ამტკიცებენ: გეგმა „ტაო“ იდეალურად გახლდათ მოფიქრებული. გამორიცხული იყო, ვინმეს თურქეთისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირს (საქართველოს) ეს ტერიტორიები დღემდე შერჩებოდა...“

ნიშანდობლივია ის, რომ, როდესაც ხრუშჩოვმა ბერიას წინააღმდეგ პოლიტბიუროს წევრები აამხედრა, მთავარ არგუმენტად ბერიას ნაციონალისტური მიდრეკილებები დაასახელა. მთავარ არგუმენტად კი გეგმა „ტაო“ მოიყვანა და ყველა მესამე მსოფლიო ომით, ანუ „ნატოს“ საბჭოთა კავშირში ატომური შემოჭრით შეაშინა, რაც აბსურდი იყო... ყველაზე ბოლოს ხრუშჩოვმა სწორედ მარშალი ჟუკოვი გადაიბირა. როგორც მოლოტოვი ყვებოდა: „ხრუშჩოვი ჟუკოვს „პოდმოსკოვიეში“ (მოსკოვის მახლობლად) მდებარე ტყეში ესაუბრა და პირდაპირ უთხრა:

– გიორგი კონსტანტინოვიჩ, ჯანდაბას წაუღია ძველი ქართული მიწები, რომლებსაც ბერია მისტირის. ხელი აიღე მის დახმარებაზე. არ ღირს თურქეთთან და მის მოკავშირეებთან კონფლიქტი. ვიცი, ბერია დაგპირდა, რომ თავდაცვის მინისტრად დაგნიშნავს ამ ოპერაციის შემდეგ. მერწმუნე, ამ თანამდებობას მაინც მიიღებ, ოღონდ შემოგვიერთდიო...“

ჟუკოვი გატყდა. ბერიას უღალატა, შეთქმულებს შეუერთდა და ბერიას განიარაღებაშიც მთავარი როლი შეასრულა... 1953 წლის 26 ივნისს კი, სწორედ სომხეთიდან დაბრუნებული ბერია, სადაც ის „ტაოს“ განსახორციელებელი ტერიტორიის დასათვალიერებლად იყო ჩასული, კრემლში შეიტყუეს, განაიარაღეს და ვერაგულად მოკლეს“.

**ნიკა ლაშაური**

# კონფლიქტით დაზარალებული ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო სკოლა შეიქმნება

**კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი ახალგაზრდებისთვის სამეწარმეო სკოლებს აფუძნებს.**

ორგანიზაციამ პროექტის პრეზენტაცია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის შენობაში გამართა.

ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე ლიკა კილაძის განცხადებით, პროექტის ფარგლებში გადამზადდება 270 ახალგაზრდა და სამეწარმეო სკოლაში ჩაერთვება 80-მდე ახალგაზრდა.

**„პროექტის ერთი მიმართულებაა ახალგაზრდების პროფესიული გადამზადება შემდეგ დასაქმების ხელშეწყობაში. მეორე მიმართულებაა სამეწარმეო სკოლის შექმნა, სადაც ჩვენ მივაწოდებთ ახალგაზრდებს, საგანმანათლებლო პროგრამების მთელ კომპლექსს. ისინი საგანამანთლებლო პროცესში მონაწილეობის პარალელურად ისარგებლებენ მენტორობის, ქოუჩინგის და საკონსულტაციო მომსახურებებით, რათა მათ მიერ ინიცირებული იდეები მოიყვანონ სისრულეში და პრაქტიკაში განხორციელებისას წარმოქნილი წინააღმდეგობები გადალახონ“,** — განაცხადა ლიკა კილაძემ.

ახალგაზრდების დასაქმების პროგრამის განხორციელებას არასამთავრობო ორგანიზაცია სხვა და სხვა სახელმწიფო უწყებასა და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობით აპირებს.

**„ჩვენ უკვე საკმაო გამოცდილება გვაქვს, წარმატებული პროექტების განხორციელების მხრივ. ამ პროექტში ჩვენი ჩართულობა იქნება ასევე ჩვენი მოკლევადიანი მომზადება გადამზადების კურსები, სტაჟირების და სუბსიდირების პროგრამა, რასაც სახელმწიფო ახორციელებს. სახელმწიფოს და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მაღალკვალიფიციურად განხორცილდება პროექტი“,** — განაცხადა სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარიამ ბეზარაშვილმა.

ახალგაზრდების დასაქმებისა და ჩართულობის ხელშეწყობა საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში განხორციელდება.

# მარტვილის ოდაში მომზადებული ელარჯი მსოფლიო კერძების შეჯიბრში მოხვდა

**უცხოურმა პორტალმა, Tastemade Travel -მა ფეისბუკის გვერდზე გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც სხვადასხვა ქვეყანაში ნაციონალური კერძების მომზადებაა გადაღებული. მათ შორის ელარჯის, რომელიც საქართველოში, მარტვილში, ფერმერ ქეთო ნინიძის ოდაშია გადაღებული.**

ვიდეოს ნახვისას ხმის მიცემა შესაძლებელია. ამ დროისთვის ყველაზე მეტი ხმა ელარჯს აქვს. ქეთო ნინიძემ განმარტა, რომ მის „საოჯახო მარანი — ოდაში“ ელარჯის მომზადების ვიდეო პორტალზე გასულ წელს განთავსდა და მილიონ-ნახევარზე მეტი ნახვა ჰქონდა.

„ელარჯის მომზადების ვიდეო საოჯახო მარან „ოდაში“ გასულ წელს გადაიღო GLP Films-მა და რობ ჰოლმსმა, USAID Zrda Activity in Georgia-ს პროგრამის ფარგლებში, რომელსაც, Tastemade Travel-ზე მილიონ-ნახევარზე მეტი ნახვა ჰქონდა“, — ამბობს ქეთო ნინიძე.

ის გასულ წელს ყველაზე ახალგაზრდა ფერმერად დასახელდა. ქეთო ნინიძემ ქმართან, ზაზა გაგუასთან ერთად მარტვილში ოჯალეშისა და სხვა ძველი ჯიშის ვაზის მოშენება დაიწყო და წარმოებული პროდუქცია ევროპისა და ამერიკის ბაზარზე გაიტანა. მათ სახლში „საოჯახო მარანი — ოდა“ ფუნქციონირებს, სადაც სტუმრებს მარანში დამზადებულ ღვინოსთან ერთად, მეგრული ტრადიციული კერძებით უმასპინძლდებიან.

# რატომ აშენდა თბილისის ცირკის ქვეშ, ბერიას ბრძანებით, უზარმაზარი თერმული ბუნკერი

**ლავრენტი ბერია რომ შორსმხედველი პატრიოტი მეურნე იყო, ისიც მეტყველებს, რომ ამჟამინდელი თბილისის ცირკის ქვეშ, უზარმაზარი საცავი ააშენებინა, სადაც მსოფლიოში არსებული ყველა მცენარის თესლი ინახებოდა დიდი რაოდენობით. პროფესორი პავლე სოროკინი წერს: „საგულისხმო ფაქტია, რომ პირველად სწორედ ლავრენტი ბერიას მოუვიდა თავში, თანაც გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების შუაში, რომ „ყოველი შემთხვევისთვის“, მსოფლიოში არსებული ყველა მცენარის საცავი შეექმნა. დღესდღეობით მსოფლიოში ორი ასეთი საცავია: ერთი რუსეთში, მეორე კი — ნორვეგიაში.**





ძნელი სათქმელია, თუ კონკრეტულად, რა მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა 1935 წელს, იმჟამინდელი საქართველოს „ცეკას“ პირველი მდივანი — ბერია, როგორ „აპოკალიფსს“ ელოდა და „ნოეს კიდობნის“ ერთ-ერთი დიდი განყოფილება რატომ შექმნა საქართველოში, მაგრამ ფაქტია, ეს ასე იყო. იმ პერიოდში ეს დიდი ინოვაცია გახლდათ.

1935 წელს, ბერიასვე ინიციატივით, თბილისის ახალი ცირკის მშენებლობა დაიწყო, რომელიც 1939 წელს დასრულდა. მისი პროექტის ავტორები არქიტექტორთა სამეული იყო — ნიკოლაი ნეპრინცევი, ვლადიმერ (ვალერიან) ურუშაძე და სერგეი საგუნეცი. ნიშანდობლივია, რომ ურუშაძე ბერიამ პირადად მიიწვია ცირკის მშენებლობაზე და ცალკე, პირისპირ დაელაპარაკა. ურუშაძე ყვებოდა: „როდესაც მითხრეს, ბერია გიბარებსო, მართალი გითხრათ, ტანში ჟრუანტელმა დამიარა და ცივმა ოფლმა დამასხა. სპეციალობით გვირაბმშენი ვიყავი. იმ პერიოდში კი, საიდუმლო თავდაცვით ბუნკერებს ვაშენებდი. ამ საქმეს თავად ბერია აკონტროლებდა და გავიფიქრე: „ვაი, ჩემო საბრალო თავო, ალბათ, რაღაც არ მოეწონა ბერიას და მიბარებს, რომ გამკიცხოს-მეთქი“. მაშინ კი გაკიცხვიდან დახვრეტამდე ნახევარი ნაბიჯი იყო. კაბინეტში გაფითრებული შევედი, მაგრამ მის გაღიმებულ, კეთილგანწყობილ სახეს რომ შევხედე, ცოტა მომეშვა. ბერია კაბინეტის შუაგულში შემეგება და ხელი ჩამომართვა. შემდეგ მხარზე ხელი მომხვია და დაბალი მაგიდისკენ წარმიძღვა, სადაც რბილი სავარძლები იდგა. ორივე მოვკალათდით, მითხრა: — როგორ გიკითხოთ, ამხანაგო ვალერიან, როგორ მიდის თქვენი საქმიანობა. ხომ არაფერი გჭირდებათ, რომ დაგეხმაროთ?

— გმადლობთ, ამხანაგო ბერია. ყველაფერი ნორმალურადაა და დახმარება არ მჭირდება, — ვუპასუხე ბერიას.

— როგორ, კაცო (ბერიამ შენობით მომმართა) პირადადაც არაფერი გინდა? აი, მაგალითად, ოჯახში. როგორ დავიჯერო, რომ პატარა თხოვნაც არ გაქვს ჩემთან.

— ნამდვილად არა, ამხანაგო ბერია. დიდი მადლობა ყურადღებისთვის, — ვუთხარი და თან, ვცდილობდი, გამომეცნო, რა სურდა ამ კაცს (ბერიას) ჩემგან.

— კარგი. მაშინ მე მაქვს ერთი თხოვნა შენთან და კარგად მომისმინე.

— გისმენთ, ამხანაგო ბერია, — ვთქვი მე.

— გავიკითხე და მითხრეს, — ურუშაძეზე უკეთ საქართველოში ბუნკერებს ვერავინ აშენებსო. სულ მალე ახალი ცირკის მშენებლობას ვიწყებთ. პროექტის ავტორები ნეპრინცევი და საგუნეცი არიან. იცნობ, ალბათ.

— დიახ. კარგად ვიცნობ მათ და კარგი სპეციალისტები არიან, — ვთქვი მე.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ესე იგი, არჩევანში არ შევმცდარვარ. მინდა, შენც ჩაერთო ამ პროექტში და ფუნდამენტთან ერთად, სანამ მთავარ შენობას ამოიყვანენ, უზარმაზარი ბუნკერი ამიშენო იქ. ეს შესაძლებელია ტექნიკურად?

ბერიასთან გამოძახების მიზეზი რომ გავიგე, შიში საერთოდ გამიქრა. ფრთები შემესხა და ვუთხარი:

— დიახ. შესაძლებელია. ბუნკერი თავდაცვითი ნაგებობა უნდა იყოს?

— არა. ის უნდა იყოს სხვადასხვა მცენარის, მარცვლეულისა და მსგავსი ჯიშების საცავი, რა თქმა უნდა, მათი უსაფრთხოდ შენახვის ყველა წესის გათვალისწინებით, — განმიმარტა ბერიამ.

— ესე იგი, თერმული, — ვთქვი მე და დავაყოლე, — ისეთ თერმულ ბუნკერს ავაშენებ, ამხანაგო ბერია, რომ მასში შენახული მცენარეები ათას წელიწადს გაძლებს.

1937 წლისთავის 40 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული, ორსართულიანი ბუნკერი მზად იყო. ის 80 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა საკმაოდ უნიკალური ნაგებობა გახლდათ. ჰქონდა ორი შენიღბული შესასვლელი, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. გვირაბში სატვირთო მანქანა ეტეოდა. ობიექტი პირადად ბერიამ ჩაიბარა ჩემგან...“

> **ცირკის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა თერმულმა ბუნკერმა ფუნქციონირება დაიწყო და მასში სატვირთო მანქანებით შეჰქონდათ სპეციალური ყუთები. თითოეულში 100 კილოგრამი საჯიშე თესლი იყო მოთავსებული. პირადი ნომერი ჰქონდა დაშტამპული და შესაბამის ადგილზე ინახებოდა**

ცირკის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, როცა თერმულმა ბუნკერმა ფუნქციონირება დაიწყო და მასში სატვირთო მანქანებით შეჰქონდათ სპეციალური ყუთები. თითოეულში 100 კილოგრამი საჯიშე თესლი იყო მოთავსებული. პირადი ნომერი ჰქონდა დაშტამპული და შესაბამის ადგილზე ინახებოდა. ბუნკერის ზედამხედველი „ჩეკას“ მეორე რანგის კომისარი, დომენტი სურგულაძე იხსენებდა: „თავიდან, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა კიდეც — რა საჭირო იყო ამდენი ფულის ხარჯვა მცენარეების საცავი ბუნკერისთვის და რატომ ინახავდა მათ ბერია. მაგრამ, ასეთი რამის კითხვას მას ვინ გაუბედავდა? როგორც ეტყობა, მან შემატყო გაკვირვება და ნახევრად ხუმრობით მითხრა:

— დომენტი, ხომ იცი, გენდობი და იცოდე, ერთი მარცვალიც რომ გაგიფუჭდეს, ტყავს გაგაძრობო.

თითქმის ოცი წელი იარსება ბუნკერმა და მე მისი უცვლელი დირექტორი ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ბუნკერში თითქმის ყველა მცენარის თესლი შევინახეთ, რაც მსოფლიოში არსებობს. 1956 წელს კი, როცა ხრუშჩოვმა სტალინი კულტად გამოაცხადა, მაისის ერთ დილას, „კაგებეს“ ოფიცრები მოვიდნენ და იქაურობა დალუქეს. მე კი დაკითხვაზე წამიყვანეს. სამი დღის შემდეგ ბუნკერიდან მისი შიგთავსის გამოტანა დაიწყეს. ერთ კვირაში ყველაფერი გამოზიდეს და მოსკოვში გადაიტანეს, რასაც ჩვენ თითქმის ოცი წლის განმავლობაში სათუთად ვაგროვებდით. ბოლოს ბუნკერის ორივე კარი საიმედოდ ამოქოლეს და ეს ორსართულიანი, უნიკალური ნაგებობა მტკვრის წყლით აავსეს...“

ხრუშჩოვის „ტურებმა“ რომ ეს ვანდალური ძარცვა განახორციელეს, ბერია უკვე სამი წლის მოკლული იყო ვერაგულად, მაგრამ, რომ იტყვიან, ალბათ, საფლავში ბრუნავდა. არადა, მრავალი უნიკალური ჯიშის მცენარის თესლის დიდი რაოდენობით მოსაპოვებლად, სხვადასხვა ქვეყანაში ჩეკისტური ოპერაციების ჩატარება გახდა საჭირო. მათ შორის, ისეთ შორეულშიც, როგორიც ბრაზილია და ამერიკის შეერთებული შტატებია. სწორედ ბრაზილიიდან ჩამოიტანეს უნიკალური ლურჯი ქლიავის კურკები, რომელიც დღეს უკვე თითქმის გადაჯიშებულია და მხოლოდ მიუვალ ჯუნგლებში გვხვდება. მას უნიკალური სამკურნალო თვისებები აქვს და ბევრ დაავადებას კურნავს. 30-იან წლებში ამ მცენარის კურკები ოქროზე ძვირად ფასობდა. სპეციალურ აღრიცხვაზე იყო და ქვეყნიდან მისი გატანა სიკვდილით ისჯებოდა. ბერიას ჩეკისტებმა კი ბრაზილიიდან 109 კილოგრამი ლურჯი ქლიავის კურკები ჩამოიტანეს და თბილისის ბუნკერში ინახებოდა. ისეთივე ჩეკისტური მოხერხებულობით ჩამოიტანეს ამერიკის შეერთებული შტატებიდან 100 კილოგრამი ყველაზე მაღალი ხის — ამერიკული სეკვოიას თესლები, რომლის გატანა ქვეყნიდან, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანონით დღესაც მკაცრად ისჯება.

ბერიას ასეთი ძალისხმევა, რაც არ უნდა უწოდონ მას, საბოლოო ჯამში, ალბათ, მაინც სამშობლოზე ზრუნვა იყო. ძნელი სათქმელია, რას გეგმავდა მომავალში 36 წლის ბერია და რატომ ჩააქსოვა ამდენი ენერგია და თანხა ამ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო (სხვა დიდ პროექტებთან შედარებით) საქმეს. მაგრამ, ფაქტია, რომ ეს ასე მოხდა და სამომავლოდ, მას გრანდიოზული გეგმები ჰქონდა.

ლავრენტი ბერია დიდი ხანია, აღარაა ცოცხალი და მრავალ საიდუმლოსთან ერთად, ეს საიდუმლოც თან წაიყოლა. თუმცა, მავანნი ფიქრობენ, რომ მას საქართველოს სამოთხედ გადაქცევა სურდა, თუმცა არ დასცალდა“.

**ნიკა ლაშაური**

## ნიკოლოზ მჟავანაძე:

# პროკურატურა მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობს

**ზუგდიდის მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეზე სასამართლო განხილვა გაგრძელდა. დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები. ყოფილი მერის, ლაშა გოგიას ადვოკატის, ნიკოლოზ მჟავანაძის თქმით, დაკითხეს ის ექსპერტები, რომლებმაც მობილური ტელეფონები ამოიღეს, დაათვალიერეს და ექსპერტიზა ჩაატარეს. ასევე სუსი-ს ერთი გამომძიებელი, რომლის დასკვნის ობიექტურობასაც უფლებადამცველი ეჭვქვეშ აყენებს.**

მისივე თქმით, ბრალდების მხარის მოწმეები ვერ სცემენ პასუხებს მათ მიერ დასმულ კრიტიკულ კითხვებს, პროკურორი კი ცდილობს მათზე ზეგავლენის მოხდენას.

**„გაიჭედა ეს ექსპერტი რაღაც საკითხებში, ვერ გასცა პასუხი. პროკურორი ცდილობდა მისთვის ეკარნახა. როცა ჩვენ გამოვთქვით პროტესტი და კითხვების დასმა გვსურდა, უხეშად ერეოდა. მივმართეთ მოსამართლეს,**



**გარკვეული ჯარიმა, ან სანქცია გამოეყენებინა. მერამდენე პროცესია, როცა ბრალდების მოწმეები იბნევიან, ვერ ამბობენ იმას, რაც პროკურატურას უნდა“,** — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მისი თქმით, ექსპერტებმა ვერ გასცეს პასუხი, მაგალითად, რა სახის მასალები ამოიღეს მობილური ტელეფონიდან, იყო ეს აუდიოჩანაწერი, არის თუ არა ის გამოსადეგი, და ზოგადად, რა სახის ფაილებთან გვაქვს საქმე.

**„ერთი უწყება იძიებს, მეორე დასკვნებს წერს, მესამე უწყებას კი უნდათ, რომ საბრალდებო დასკვნა გამოატანინონ“,** — აღნიშნა ადვოკატმა.

მისივე თქმით, საპროცესო შეთანხმების საკითხზე არ საუბრობენ, არამედ მიჰყვებიან სასამართლო პროცესებს, ლაშა გოგიას უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

თავის მხრივ, თენგიზ ქობალიას უფლებადამცველმა იოსებ ჯანაშიამ გვითხრა, რომ ჯერჯერობით სიახლე არ აქვთ და საპროცესო შეთანხმებაზე პროკურატურასთან მოლაპარაკება მიმდინარეობს.

მომდევნო პროცესი 26 მარტს ჩაინიშნა.

ზუგდიდის მერიის ყოფილი მაღალჩინოსნების საქმე შესაძლოა საპროცესო შეთანხმებით დასრულდეს და ეს საკითხი განიხილება, ამის შესახებ ადვოკატები საუბრობენ.

სუს-მა გია გულორდავა და ლაშა გოგია დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე 2018 წლის პირველ ნოემბერს დააკავა. რაც შეეხება თენგიზ ქობალიას, გამოძიების ცნობით, მას ჰქონდა ინფორმაცია ქრთამის აღების ფაქტზე, თუმცა ყოფილი მაღალჩინოსნების დანაშაული დაფარა.

ექსპერტმა გავრცელებული ჩანაწერის ავთენტურობა უკვე დაადასტურა.

დაკავებულთაგან არც ერთი დანაშაულს არ აღიარებს.

# ლავრენტი ბერია – 120



მარშალ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას პერსონის მონუმენტურობას გვერდს ვერ ავუვლით... გვერდს ვერ ავუვლით იმას, რომ 1899 წლის 29 მარტს, სოხუმთან ახლოს, თვალწარმტაც ოფუტე მერხეულში დაიბადა ბიჭუნა, რომელსაც განგებამ შემდეგ ზესახელმწიფოს ფაქტიური მეორე კაცობა და მეოცე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწის ხვედრი არგუნა... საჯაროდ ადრეც ბევრჯერ გამოვთქვი მოსაზრება, რომ სტალინის და ბერიას ფენომენის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჰიტლერული ფაშიზმის დამარცხება და ჩვენს არცთუ შორეულ წინაპრებს უეჭველად მოუწევდათ მონობა, ან გაზკამერების მონახულება... ადრეც მითქვამს და ახლაც ვიტყვი: ერთდროულად სასაცილოცაა და სატირალიც ტვინგადაბრუნებულთა ვიშვიში იმაზე, რომ თითქოს სტალინ-ბერიას გამოისობით მათ დაკარგეს ბავარიული ლუდის წრუპვის შესაძლებლობა... არა, არ ეგონოს ვინმეს, რომ ეს უტრირებაა, რადგან ამას მართლა ფიქრობს და ბჟუტურებს ზოგიერთი ბრიყვი ჩვენი თანამემამულე. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ ტვინქექეთა აზრით ჰიტლერი თითქოს დღენიადაგ საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ფიქრში ათენებდა ღამეებს.

ახავაი, როგორი მწირია და უმწიფარიც მავანთა აზრები თუ ფიქრები...

არ მინდა სიტყვა შორს გამექცეს და ამიტომაც მოკლედ ვიტყვი: ნუ მოვიქცევით ულირსად, ნუ ვცდილობთ ლაფში ამოვსვაროთ საკუთარი ჯიშისა და მოდგმის დიდი ისტორიული ფიგურები. სამარცხვინო და უმადური გარჯაა ეს. ბოლოს და ბოლოს სახიფათოცაა ეს, რადგან შესაძლოა, განმქიქებლებმა თავად ამოყონ ქაქში თავი...

29 მარტი ლავრენტი ბერიას დაბადების დღეა...

მიმდინარე წლის 29 მარტს ლავრენტი ბერიას დაბადებიდან 120 წელი სრულდება...

გაანათოს უფალმა ჩვენი ერის წიაღში შობილი ამ დიდი ადამიანის სული...

ჩხონაფა -ოფედას ლავრენტი პავლეში სქუა ბერიაში შურიში...

**ზურაბ კვარაცხელია**



**ლავრენტი ბერია დაიბადა 1899 წლის 29 მარტს, სოფელ მერხეულში, გულრიფშის რაიონში.**

დაამთავრა ბაქოს ტექნიკური სასწავლებელი 1919 წელს.

მონაწილეობდა ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში; მუშაობდა აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში; 1921–1931წწ. იყო საქართველოს და ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს და საგანგებო კომისიის ორგანოების ხელმძღვანელ თანამდებობებზე; 1931-1938 წწ. იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პირველი მდივანი, 1938–1945წწ. სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი; 1941 წელს დაინიშნა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ; II მსოფლიო ომის დროს, 1941 წლის ივლისიდან იყო სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრი, 1944 წლის მაისიდან თავმჯდომარის მოადგილე. 1953 წელს დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. პიროვნების კულტის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკებისაა და კულტურის მოღვაწეთა მასობრივ რეპრესიებში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში ხელისუფლებისათვის დაწყებულ ბრძოლაში ლავრენტი ბერია დამარცხდა. იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე.

**ლავრენტი ბერია გარდაცვალა 1953 წელს 53 წლის ასაკში.**

# ზვიად გამსახურდია – 80

**თანამემამულენო!**
**გეორგიანნო!**
**31 მარტი ზვიად გამსახურდიას დაბადების დღეა!**
**31 მარტი ასევე არის დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის დღეც!**



ასე რომ, გილოცავთ ჩვენი ერის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ერისკაცის — ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს!

გილოცავთ დამოუკიდებლობის შესახებ 31 მარტის რეფერენდუმის დღესაც!

გილოცავთ! გილოცავთ! გილოცავთ!

და, იმედი მაქვს, რომ თითოეულ ჩვენთაგანში ცოტა მაინც არის რაღაცა ზვიადისეული!

იმედი მაქვს, რომ 31 მარტის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შედეგი არ დაგვავიწყდება!

იმედი მაქვს, რომ ეროვნული კონსოლიდაციის სურვილი მალე გაგვიჩნდება!

იმედი მაქვს, რომ ნამდვილპატრიოტული სულისკვეთება დაგვიბრუნდება!

იმედი მაქვს, რომ ცხელი გული და ცივი გონება უსათუოდ მოგვცემს საშუალებას დავიცვათ მამული სრული გაპარტახებისაგან!

იმედი მაქვს, რომ სტრატეგიული აზროვნების სიბერწისაგან მალე განვიკურნებით და სამშობლო გაგვიმთლიანდება!

იმედი მაქვს, რომ უფალი არ მოგვაკლებს თავის წყალობას და კოლხა-იბერია გადარჩება!

იმედი მაქვს... სანამ სული მიდგას — იმედი მაქვს!

**ზურაბ კვარაცხელია**

## ზვიად გამსახურდია
## საქართველოს პრეზიდენტი 1991-1992 წლებში

**ზვიად გამსახურდია დაიბადა თბილისში 1939 წლის 31 მარტს, გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიასა და მირანდა ფალავანდიშვილის ოჯახში.**

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ლიტერატურის სპეციალობით 1962 წელს.

წლების მანძილზე მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დოცენტად. 1973 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. 1972-1977 და 1983-1990 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის სფეროში, აგრეთვე, დისიდენტურ მოძრაობაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის 1978 წელს ზვიად გამსახურდია იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ოფიციალური ნომინანტი (წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ). დისიდენტური საქმიანობისათვის ზვიად გამსახურდია საბჭოთა უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა 1956 და 1977-1979 წლებში. გამსახურდია იყო მთავარი ორგანიზატორი 1987-1990 წლებში გამართული თითქმის ყველა ძირითადი მშვიდობიანი მასობრივი აქციისა, მათ შორის 1989 წლის აპრილის საპროტესტო აქციისა, რომელიც დასრულდა 9 აპრილის სისხლიანი დარბევით, რის შემდეგაც ზვიად გამსახურდია დააპატიმრეს, როგორც აქციის ორგანიზატორი. საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1991-1992 წლებში. მას გამოქვეყნებული აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები (მათ შორის 4 მონოგრაფია) რუსთველოლოგიის, ქართული კულტურის ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის, თეოლოგიის, ამერიკული პოეზიის ისტორიის საკითხებზე. გამოცემულია მისი ლექსებისა და იგავ-არაკების კრებულები, აგრეთვე, შექსპირის, ბოდლერის, გოგოლის და სხვათა თხზულებების მისეული თარგმანები.


## სასწაულმოქმედი პრეპარატები «დომენტოლი» და «გაგენოლი» მუდამ იქნებიან თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში




დომენტი გაგნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტულ სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ციროზს I და II სტადიებში. C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს და სხვა მრავალ დაავადებას.

მკურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზვა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო „ისანთან“), ყოველდღე — 10-დან 16 საათამდე.

**ტელ: 593-22-66-51; 593-62-28-48**

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**


# გახსენება



**გულრწფელად გითხრათ, არც ვიცი როგორ დავიწყო... დალი ყალიჩავა გარდაიცვალა... დიდი პოეტის, პატრიოტის და ასევე ჩემი დიდი მეგობრის, ჩემი რენე კალანდიას უერთგულესი თანამეცხედრე...**

**დალი ბოლო წლებში მძიმე ავადმყოფობას ებრძოდა. ებრძოდა შეუპოვრად, მაგრამ სამწუხაროდ, სასიცოცხლო რესურსები ულევი არ აღმოჩნდა...**

**დალი, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ამ ცისქვეშეთში გაწუყოფელნი იმ სამყაროშიც ერთად იქნებით შენ და რენე...**

**უფალმა გაანათოს შენი სული...**

**ჩხონაფა ცოფედას სქანი, დალინკა...**


ISSN 1987-8966 „ილორი“

7 719878 960097

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 234-32-95

მთავარი რედაქტორი: ეკა ნასყიდაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით: gazeti-ilori@mail.ru (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ „ილორის“ გაცნობა შეგიძლიათ „საქინფორმის“ ვებგვერდზე www.saqinform.ge